

კვირის პალიტრა



№ 48 (509) ◆ 29 ნოემბერი - 5 დეკემბერი, 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

„რუსეთი დავლის ზღვარზე!“



— აზერბაიჯანის რკინიგზაზე ქართული ტვირთების შეფერხებას ორგანიზაციის ახსნა შეიძლება ჰქონდეს: პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი ქართული ეროვნული სატარიფო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრული ბიზნესსრეების ინტერესებზე იყო მორგებული, აზერბაიჯანულ მხარესთან არ შეუთანხმებიათ. მეორე მომენტი კი რუსეთთან არის დაკავშირებული. თუ რუსეთი შეძლებს ალიევის დარწმუნებას, რომ განსაზღვრული კომპრომისების (ჩვენს ხარჯზე) სანაცვლოდ ყარაბაღის პრობლემას მოუგვარებს, გამორიცხული არაა, თუნდაც, ეს დროებით მოხდეს.

გვ.3

რაგომ ვერ ახერხებს პრეზიდენტის აღმინიშრასია ამ საქითის საპარტიო ჩილი გელაყენას



გვ.4

სახელმწიფო სახელმწიფოს წინააღმდეგ?! 1000 ლლარი 1კვ მ-ის სახაცვლოდ?! ბენდუქიდემ შემომითვალა, სახელმწიფო მოხელე ხარ და ჩვენ გვებრძვიო? — მაშინ სია მომეცით, ვის უნდა შევეხო და ვის არა-მეთქი...

„ვერ ვიხყვი, რომ რას ქვეყანაში ხდება, ყველაფერი ვიხი“



თუ ჯიბეში მანდაგი მექნება, ამით თქვენთვის რამე შეიცვლება? პრეზიდენტის კაბინეტში შესულ ადამიანებს რატომღაც ჰგონიათ, რომ მხოლოდ კარგი ინფორმაცია უნდა მათთვის ხელისუფლებას... გვ.7,11 პარტიის შექმნა რომ მდომოდა, უფრო გონივრული არ იქნებოდა, შევსულიყავი პარტიაში, ეს მითქმა-მოთქმა მომესპო და მერე გამოვსულიყავი? დამაბამდა ვინმე ნაციონალურ მოძრაობაში თუ რა?

„ან ცხებით მოგვკლავდნენ, ან საბიუტოში გამოგვაყენებდნენ“




„აბაშიძემ მისი ავტობიტი აილო და კიდევ ერთხელ დაახალა...“ გვ.6,11 მიხეუდს რომ დავინახა, ყვირილი დაიწყო, — რა ქნით, იმანის ოჯახი დააპატიმრეთ, გაგიყლითო? მერე ნატომ იმარჯვა, თენგიზ კიტოვანთან დარეკა და ამან გვიხსნა, თორემ ღმერთმა იცის, რა დატრიალდებოდა. მლიციიდან კიტოვანს ჩვენს თავს არ ატანდნენ, აქ დაცული არიანო... მილიციის უფროსის, დილარ ხაბულიანის ნათესაის, ნიჟარაძის მოადგილემ უთხრა კიტოვანს, ესენი რომ გაგატანოთ, დილარი თავებს დაგვჭრისო.

„სამ კაზამონთან“



„მასწავლებელი ვიცი, რომელიც ბავშვებს ასწავლიდა „ლედა ენა“ შოთა რუსთაველმა დაწერაო“(!) ყველას ვაძილებ, წერილები და ნები-სმიერი სახის დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გამოგვიზავნოს და დირექტორმა რომ ელემენტარული ქართული უნდა იცოდეს, ეს ახლა გაიგეს? გვ.12

გომონა სახურავების საყაროდან...



რა ბენდერები ვიყავით, რომ თოვლის ბაბუსს გავას-სენდით! თურმე დედაჩემი და დედაჩემი იწვინ სასურავზე და ნაბის ხეს ზემოდან უშვებდნენ... ჩემს სასურავზე ყველაფერი ზღაპრული იყო... გვ.16 მეგობარმა გამოგვიტანა პაპაჩემის საქმე, რომელიც ერთადერთი ფურცელი იყო ჩაქრული და ეწერა: დაზერეტილია შემოფანდან მე-9 დღეს, ციხეში ადგილის უქონლობის გამო...

„აირობას ვღებ, მათი დაპირისპირებით ქვეყნივეს დადინდება“




თემის გაგრძელება: „გამსახურდიას მკვლელობა ხუთკაციანმა ჯგუფმა მოახდინა“ გვ.6,13 სად გაქრა პრეზიდენტის ყვისფერი ბლოკნოტი, რომელშიც ის დღიურს აწარმოებდა?

სასაპარტო

17-20

გვარდი

ჩვენი ქვეყნის წარმოება ეკონომიკური ექსპერტების კი გააოცა

გვ.27

წარმოების 30-40%-ით ზრდა ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ნამდვილ ბუმს გამოიწვევდა, რატომ არ ხდება იგივე ჩვენთან?

თქვენ გეგონებინანი გკითხველი გრკანდებით!

უკრაინის როლი ქართული არმიის გაქვიაებაში

კიევიში მიმდინარე მოვლენებმა საქართველოს სამხედრო ძალების მომავალზე შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშონ

ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორც უკრაინა, პოლიტიკური ვნებების გამოქვაბულში გადარდა ძალაუნებურად დაბარალებს ყველა იმ სხვა სახელმწიფოს, რომლებსაც ოფიციალურ კიევიდან რაიმე ურთიერთობა მაინც აქვთ.

რა დასაძლავია და უკრაინა უდიდეს როლს თამაშობს ქართული არმიის გადართმობის საქმეში — საქართველოს სამხედრო ძალების შეიარაღების თითქმის 97-98%-ს საბჭოთა ნიშნის იარაღი წარმოადგენს. ამ მოძველებულ იარაღს კი შეკეთება ან სულაც იმავე ტიპის, ოღონდ ნაკლებად ნაზვარით შეკვლა სჭირდება.

იმის გამო, რომ ჩვენი წინა ხელისუფლების დოცლიანობის თუ წინასწარგანზრახული ქმედებების გამო საქართველოდან საბჭოთა შეიარაღებისა თუ ტყვიანობის უზარმაზარი არსენალი გაიზიდა, დღეს იმუშავებელი ვართ, თავად ვეძიებთ შეიარაღება დსთ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

რუსეთის ფედერაციას დიდი ხანია ემბარგო აქვს გამოცხადებული ქართული არმიის იარაღის მიყიდვაზე და ამას დსთ-ის სხვა ქვეყნებსაც უკრძალავს.

დღემდე უკრაინა ნაკლებად აქცევდა ყურადღებას მოსკოვის შეფარულ მუქარას თუ აშკარა უკმაყოფილებას და ქართული არმიისთვის იარაღის მიყიდვაზე უარს არ ამბობდა.

თუკი გამართლდა ყველაზე სამიში პროგნოზები და სამოქალაქო ომში ჩართული უკრაინა მართლაც ორ ნაწილად გაიხლიჩა — რუსეთის კონტროლირებად აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინად და დასავლური ორიენტაციის დასავლეთ უკრაინად, ძალზე გაჭირდება უკრაინიდან ქართული არმიის შეიარაღებით მომარაგება. თუნდაც იმიტომაც, რომ ნიკოლაევის პორტს, ისევე როგორც ოდესასა და სევასტოპოლს, რუსეთი მაშინვე მოაქცევს თავის კონტროლქვეშ და შეიარაღებით დაჭერიულ ბარჯებს საქართველოს პორტებისკენ არ გამოუშვებს.

არადა, საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას უკრაინის დიდი იმედი აქვს, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით და უკრაინაში სიტუაციის გართულების შემთხვევაში, გარკვეულწილად, დაგვიანდება იმ სამხედრო საჭმის დაწყება, რასაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია.

გაბათავისუფლეს? ჩააბარა „მაკაროვი“!



არმიიდან დათხოვნილ ოფიცრებს სამსახურებრივი პისტოლეტები შინ მიჰქონდათ

ეს პისტოლეტები თანამდებობადატოვებულ ოფიცრებს სახლებიდან მიატანინეს...

გულადაა მიჩნეული. ცოტა მწელი დასავლურებელია, აფხაზ სეპარატისტებს ალაფად ამდენი იარაღი ეგდოთ ხელთ. უფრო სავარაუდოა, რომ ომიდან დაბრუნებული მებრძოლები სარგებლობდნენ იმდროინდელი ქაოხით და იარაღს იტოვებდნენ.

ცალკე კატეგორიად შეიძლება გამოიყოს სამსახურებრივი დანიშნულების ის იარაღი, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მომუშავე ოფიცრებსა და ზემდეებს ეკუთვნოდათ, მაგრამ თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ მათ ეს იარაღი სამორიგო ნაწილს არ ჩააბარეს(!).

ქართული არმიის შემადგენლობა 15 ათასამდე მცირდება, მაგრამ წარმოადგენს ვინმე, რომ დღემდე შეიარაღებულ ძალებს დანაკლისად ამდენივე — 15 ათასზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი ეთვლება?

ეს ციფრი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამდენი პისტოლეტი, ავტომატი თუ ტყვიამფრქვევი უგზო-უკვლოდ დაეკარგა თავდაცვის სამინისტროს — უბრალოდ, აფხაზეთისა თუ სამოქალაქო ომის დროს თავდაცვის სამინისტროს არსენალის მთავარი საწყობიდან ასობით ავტომატი და ტყვიამფრქვევი გაიკვეთა შინაგან ჯარსა თუ „მხედრონზე“, ასევე, ათასი ჯურის საძმობზე. ამ იარაღის დიდი რაოდენობა დღეს შს-ს, შინაგანი ჯარების, მესაზღვრეებისა თუ უშიშროების შეიარაღებაშია. არსებობს გაცემამიღების აქტებიც, მაგრამ იმის გამო, რომ თავდაცვის სამინისტროზე რიცხული იარაღი, მიუხედავად განვლილი წლებისა, თავიანთი შეიარაღების დავთრებში არ გადაინერგეს სხვა სტრუქტურებში, იარაღის ეს უზარმაზარი რაოდენობა, რომელიც ერთ მოტომსროლელ დივიზიას შეიარაღებდა, კვლავ თავდაცვის სამინისტროს ეთვლება დანაკლისად.

რეალური დანაკლისი კი არანაკლებ 6-7 ათას ცეცხლსასროლი იარაღს შეადგენს, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების დროს დაკარ-

თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ რამდენიმე კვირაა, რაც აქტიური მუშაობა დაიწყო ასეთი კატეგორიის, დანაკლისად მიჩნეული იარაღის დასაბრუნებლად და უკვე 58 პისტოლეტი და ორი ავტომატი დააბრუნეს. ორმა პირმა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის თვითღირებულება, 78-78 ლარი (ცუთის გათვალისწინებით) გადაიხადა, ერთმა კი დაკარგული მოკლევლიანი ავტომატის AKCY-ს დაბრუნების ნაცვლად, თავის დროზე 140 ლარი გაიღო. „მაკაროვის“ პისტოლეტი თავდაცვის სამინისტროს დაახლოებით 120 დოლარად ანერია, დაკარგული იარაღი მებნაშია გადაცემული და ვისაც აღმოუჩენენ, სისხლისსამართლებრივ დევნას ვერ ასცდებიან.

მაშინ, როდესაც თავად თავდაცვის სამინისტროს მუდმივად არ მყოფნიდა იარაღი, ხელმძღვანელობა მათი გაჩუქებით იყო დაკავებული — 1992-დან 2003 წლამდე 176 ცეცხლსასროლი იარაღი ოფიციალურად აშუქეს სამხედრო პირებს, მათ შორის, „მაკაროვის“ პისტოლეტები, CKC-ისა და CBM-ის ტიპის მაშინაბები და საზღვაო დამხმარი. ამ 176-ში არ შედის ის იარაღი, რომლებიც თავდაცვის მინისტრებმა უცხოელ სტუმრებს თუ ატამებებს უსახსოვრეს.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

პიგიენური თუ ანტიპიგიენური პაკეტი?



რაკი თავდაცვის სამინისტროში დღეს ბევრი ქალბატონი მუშაობს, სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, თქვენც ის გაგხსენებოდათ, რასაც ტელევიზიაში რეკლამის სახით გაჟღერებთ გვთავაზობენ.

თუმცა, ამჯერად სტატიის ავტორიც და მკითხველიც შეცდომაშია შეყვანილი — იმ პიგიენურ პაკეტში, რომლებიც უკვე თავდაცვის სამინისტროს საწყობში აწყვიტა, თურმე სულ სხვა რამ იგულისხმებოდა, კერძოდ კი ცელოფანის პაკეტში შეფუთული პირადი პიგიენის საშუალებები — 4 კბილის ჯაგრისი, 2 საპონი, 2 საფარცხელი, 2 პირსახოცი, 1 კბილის პასტა, 1 სასაბე, 1 ფეხსაცმლის ჯაგრისი, 1 ტანსაცმლის

ჯაგრისი, 1 ფეხსაცმლისსაცხიანი კოლოფი და 5 ერთჯერადი წვერის საპარსი საშუალება.

თითოეული პაკეტი თითო ჯარისკაცისთვის, უფრო სწორად კი, თითო რეზერვისტისთვისაა განკუთვნილი. ერთი ასეთი პიგიენური პაკეტის ფასი მან ლარია. თუმცა, გასაკვირი ის არის, რომ ცალ-ცალკე, თითოეული ნივთის ფასი უფრო მეტია მთლიანად პაკეტის საფასურზე.

ჩვენს უფრო მეტ გაცივრებას სხვა ფაქტი იწვევს — კბილის და ფეხსაცმლის ჯაგრისები პაკეტში ერთად აწყვიტა, ისევე როგორც პირსახოცი და ფეხსაცმლისსაცხიანი კოლოფი. ასე რომ, ამ პაკეტს პიგიენურის ნაცვლად, ალბათ უფრო ანტიპიგიენური უნდა ერქვას.

ერაყში გადაჩენილი, სამოგზაოში დაიღუპა...



ვიცე-პოლკოვნიკი მალხაზ შუბითიძე ერაყში მივლინების დროს

იმ ავბედით დღეს, გორთან ახლოს, საავტომობილო ტრასაზე დატრიალებული სამხედრო ტრაგედიის შესახებ თითქმის მთელმა საქართველომ შეიტყო, მაგრამ ცოტა თუ იცის, იმ ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპული მალხაზ შუბითიძე ვინ იყო.

იმ დღეს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოგისტიკის სარდლობის საინჟინრო განყოფილების უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი მალხაზ შუბითიძე სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ოსიაურის ბაზაში მიემგზავრებოდა, — მას ნაღმების უსაფრთხო გადამანილება უნდა მოეხდინა...

შეგახსენებთ, რომ მალხაზ შუბითიძე აქტიურად თანამშრომლობდა „კვირის პალიტრის“ რედაქციასთან და ერაყიდან, სადაც იგი საინჟინრო-მესანგრეთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა, საინტერესო მასალებსა და ფოტოსურათებს გვიგზავნიდა. იგი არაერთგზის ყოფილა „კვირის პალიტრის“ გვერდის, „სამხედრო თემზე“ და სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის, „არსენალის“ რესპონდენტიც.

ვიცე-პოლკოვნიკი შუბითიძე სასწაულებრივად გადაურჩა ერაყში სიკვდილს. 2003 წლის 21 აგვისტოს, ჭურვების განაღმვის დროს, ქართველ მენაღმებებს ღენთი აუღადათ. მაშინ თავადვე დაშვებულმა მალხაზ შუბითიძემ ივაკაცა და მძიმე დამწვრობამიღებული ოთხივე თანამებრძოლი დროულად გადაიყვანა ამერიკულ მოსპიტალში, რითაც ამ უკანასკნელთ სიცოცხლე შეუნარჩუნა...

„კვირის პალიტრა“ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

სამზაგათიდან
ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

არსენალი

სამხედრო ძალები „მარაგების რეპროდუქციაზე“ და მის შემდეგ...
შვიდასიანი საილუვა სახადიროდ
აქ კარგად უფრო იოლად „შუბითიძეზე“ შედრე ქალკვს

ამერიკელი „ინფილტრანტი“ ქართული არმიის სამსახურში
პირდაპირი „ლიბი ზიზუაჩისთვის“
სამხედრო ძალები „მარაგების რეპროდუქციაზე“ და მის შემდეგ

XXI საუკუნის ავტომატი მართავალი სპასრეზაგალობისთვის

ყველაზე სასურველი მართავალი მართავალი მართავალი

Wolkswagen TOUAREG

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

რატომ იცოდა ამდენმა ხალხმა ზვიადის ადგილსამყოფელი? რას ჰქვია — ჩვენთან ხალხი მიდიოდა და მოდიოდაო. რატომ იგებდნენ ვილაცები ასე იოლად, სად იმყოფებოდა პრეზიდენტი? ავთო იოსელიანი ამბობს, — ყოველ საათს ვიღებდი ინფორმაციას, სად იმყოფებოდა პრეზიდენტიო. საიდან ჰქონდა მას ეს ინფორმაცია? მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ისეთ ადგილებში მოძრაობდა, შეუძლებელი იყო ვინმეს ბინოკლით ან რამე სხვა საშუალებით დაენახა. ეს ხომ პირდაპირი მინიშნება იმაზე, რომ პრეზიდენტის გარემოცვასთან ჰქონდა იოსელიანის კავშირი. რობიზონმა, როგორც პრეზიდენტის სიცოცხლეზე პასუხისმგებელმა პირმა, ბევრი შეცდომა დაუშვა. მაინტერესებს, სად გაქრა პრეზიდენტის ყავისფერი ბლოკნოტი, რომელშიც ის დღიურს აწარმოებდა? თუ პრეზიდენტს ჩემი საქციელი რამენაირად არ მოსწონდა, ეს ჩანაწერი უთუოდ იქნება იმ დღიურში. დღიურით ასევე შეიძლება პრეზიდენტის სულიერი მდგომარეობის გარკვევა სიცოცხლის ბოლო დღეებში. მარგველანი ამბობს, — პრეზიდენტს კი ჰქონდა არგენტინული იარაღი, მაგრამ ის არ მუშაობდაო. რა უჭირდა ზვიადს საიმისო, ეს ჯართი არ ეტარებინა ჩანთით? მით უმეტეს, ვიცი, არ უყვარდა იარაღი. ერთხელ, მახსოვს, ზიზლით მომანოდა „მაკაროვი“, მომამორე, არ გავარდესო.

— დაცვის წევრები ამბობენ, პრეზიდენტს ლოთი ქობალიაზე ეჭვი გაუქნაო თქვენ ხომ არ შეგიტყვიათ, რომ არ გენდობოდათ?


— როგორ არ მენდობოდა, როდესაც კაცმა მითხრა, — საქართველოდან ერთად გავიდეთო და ოჯახიც არ დამატოვებინა აქ — დევნას დაუწყებენო. ვფიქრობ, პრეზიდენტზე ბოლოს რაღაც ზენოლა იყო, თავისუფლად ვეღარ მოქმედებდა. ამიტომ მაინტერესებს, სად არის პრეზიდენტის დღიური.

როდესაც ბათუმიდან რუსების სატანკო პოლკი წამოვიდა ჩვენს წინააღმდეგ, სუფსაში დატყვევდი. მათი სარდლისგან 3 დღე 20 ათას დოლარად ვიყიდეთ (ეს ფული მთელ სამეგრელოში შევაგროვეთ). გვიტხრეს, თუ 200 ათას დოლარს მოგვცემთ, სრულიად არ ჩავერევით თქვენს საქმეშიო, მაგრამ ამდენი ფული არ გვქონდა. სამტრედიანზე შეტყევის ოპერაცია დაგეგმილი გვქონდა, მაგრამ ჯარი ჩვენს გაუფრთხილებლად შევიდა სამტრედიანში.

— უკაცრავად 3 დღე რატომ იყიდეთ, რას აპირებდით?

— ენგურზე 70 კმ-იანი ზოლი მქონდა დასაცავი, საიდანაც წარამარა შემოდინდნენ აფხაზები — ხალხს ძარცვავდნენ და მანქანებს იტაცებდნენ. იქ ჩემი ჯარისკაცები იდგნენ, რათა მოსახლეობა დაეცვათ. სამტრედიანზე შეტევა რომ დაგვეწყობო, საჭირო იყო უკან მყოფი ძალების მობილიზება წინ გადასასროლად. ჩვენი გეგმა სამტრედიანში ჯარების თვითნებურად შესვლამ

„პირივას ვღებ, მათი დაპირისპირებით ჭეშმარიტება დადგინდება“



ლოთი ქობალია

ჩაშალა. სხვათა შორის, სამტრედიანში გურია-იმერეთის პოლკი შევიდა. ამ ხალხს 2 წელი არ ენახა ოჯახები და უმეტესობა გაიქცა, ამიტომ აირ-დაირია იქ ყველაფერი.

ბურამ რაზმმა, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ შექმნილი საგამოძიებო კომისიის წევრი: — გამსახურდიას დაცვის წევრმა ბაჩუკი გვანცელაძემ იცის, სადაც ინახება პრეზიდენტის ტანსაცმელი და პირადი ნივთები. დაგვირდა, ერთ ქალბატონს მივებარე შესანახად და გადამოცემით, მაგრამ დღემდე არ გადამოუცია. ესპერტიზისთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ვიცი, იმ ორი იარაღის ადგილსამყოფელიც, რომელიც პრეზიდენტ გამსახურდიას ჰქონდა. დღესდღეობით გამოძიებას აქვს პრეზიდენტის მათარა და სანოლის დაფა, რომელსაც ნატყვიარი ეტყობა... მაგრამ გაცილებით ბევრი რამის დადგენა შეიძლება იმ ნივთებით, რომლებიც ჯერ არ გადაუციათ გამოძიებისთვის.

— საგამოძიებო კომისიამ თუ გაარკვევა, რა პირობებში გარდაიცვალა პრეზიდენტი გამსახურდიას დაცვის ორი წევრი?

— ჩემთვის უკვე გარკვეულია ყველაფერი, მაგრამ რადგან ყველა მტკიცებულება არ მაქვს, ეს შეგიძლიათ საგამოძიებო ვერსიად ჩათვალოთ. პრეზიდენტის დაცვის წევრები დახოცეს

იმ ადამიანებმა, რომელთაც გამსახურდიას ლიკვიდაცია ჰქონდათ დავალებული. ვფიქრობ, შესაძლებელია იმ ადგილის მიგნება, სადაც ისინი დამარხეს. პრეზიდენტის დაცვის წევრები, ჭინჭარაული და გოგაძე, ბადრი ზარანდიას ე. წ. ბანაკში გაქრნენ უზბო-უკვლოდ. ჩვენებებიდან გამომდინარე დავადგინეთ, რომ ბადრი ზარანდიას მოულოდნელად დასდგომია თავს ზვიად გამსახურდიას და მის მხლებლებს. არადა, პრეზიდენტის ადგილსამყოფელი, წესით, არავის არ უნდა სცოდნოდა. პრეზიდენტს ზარანდიამ შესთავაზა, შენს უსაფრთხოებას უზრუნველყო და თავის ბანაკშიც მიიწვია, მაგრამ ზვიადი იქ არ დარჩა. მოშორებით დაბანაკდა იმიტომ, რომ სძენოდა, — ზარანდიას ვერაფერს ვხედავო და პირადადაც უთხრა — გულს ნუ შეხვდებიო. ზარანდიამ სიტყვა მისცა, ასე მოვიქცევიო. ამის შემდეგ ზვიადი ისეთ მალაღ ადგილას დაბანაკდა, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა, რა ხდებოდა ზარანდიას ბანაკში და დაცვის ორი წევრიც ალბათ ზარანდიას გასაკონტროლებლად დატოვა იქ. პრეზიდენტის დაცვის წევრები, კვინაძე და ბურჯანაძე ადასტურებენ, იმ დღით, როდესაც ჩვენი მეგობრები ზარანდიას ბანაკიდან გაქრნენ, ისინი ზემოდან დაეინახეთ — ერთ-ერთი შეშას ამოხედაო. მოგვიანებით, როდესაც მათი ძებნა დაიწყო, ზარანდიამ განაცხადა — 2 ცხენი მივეცი და თბილისში წავიდნენო. ასეთი ზღაპარი ჯერ არ მსმენია. გოგაძე და ჭინჭარაული პრეზიდენტის ისეთი მოქცევაზე იყვნენ, წარმოუდგენელია, მისთვის თავიანთი განზრახვა არ ეთქვათ და ლაჩრულად გააპრულიყვნენ. ან სად უნდა წასულიყვნენ, როდესაც ფაქტობრივად ალყაში იყვნენ მოქცეულნი? კვინაძე და ბურჯანაძე ამბობენ, როდესაც ზარანდიას ვკითხეთ ჩვენი მეგობრების ასავალ-დასავალი, განერვიულდა, ქომინი დაიწყო. მაშინვე მიხვდით, რომ ცუდად იყო მათი საქმე, მაგრამ არაფერი შევიმჩინეთ, იმიტომ, რომ ჩვენც საფრთხეში ვიყავით — და ჭინჭარაულის და გოგაძის ლანძღვა დავიწყეთ, მაგ გარეწრებმა როგორ მიგვატოვესო.

— ხომ არ უშვებთ ვერსიას, რომ ზარანდიამ სოხუმამდე (სადაც ზვიად გამსახურდიას გარდაიცვალა) მისდია პრეზიდენტი?

— ჯერ არ დამდგარა ყველაფერის თქმის დრო. არიან მოწმეები, რომელთაც სიტყვა მივეცი, რომ მათ ნათქვამს საჭირო მომენტამდე არ გავაჟღავნებდი. პრეზიდენტის მკვლელობას ნათელს მოაქვს კვალიფიციური იურისტების

გამოძიება და რაც მთავარია, ბესარიონ გუგუშვილისა და მარგველანის დაპირისპირება. მათ რაც არ უნდა მოილაპარაკონ, კომპეტენტური გამოძიებელი უთუოდ აღმოაჩენს ამ საქმის გასაღებს. ვფიქრობ, მათი ჩვენებები განსხვავებული იქნება. არ ვამბობ, რომ ისინი დამნაშავეები არიან, მაგრამ მათ შეუძლიათ ამ საქმეს ნათელი მოჰფინონ. პირობას ვებეჭყნის წინაშე, მათი დაპირისპირებით ჭეშმარიტება დადგინდება. სხვათა შორის, არც ისაა გამოსარიცხი, რომ გუგუშვილი და დაცვის წევრები ვილაცამ დააძინა და ამიტომ ვერ გაიგეს და ვერ დაინახეს ვერაფერი.

— რამდენიმე წლის წინ ბადრი ზარანდიას მოკლეს, ხომ არ ფიქრობთ, რომ ვილაცამ შური იძია მასზე?

— ბევრი სწორედ ასე ფიქრობს, მაგრამ ამის გადაჭრით მტკიცება არ შეიძლება.

— იქნებ მაინც მიიხრატა, რა გითხრეს თვითმკვლელებმა, რომელთაც ინფორმაცია მოგონოდათ პრეზიდენტის მკვლელობაზე?

— ჩემს ვარაუდს მოგახსენებ, რომელიც მათი ნათქვამის საფუძველზე გაიჩნდა — პრეზიდენტის მკვლეელი მარტო არ მოქმედებდა. ლურწკაიების სახლთან დაახლოებით ნაკადიანი ჯგუფი მოვიდა და მათ მოახდინეს პრეზიდენტის ლიკვიდაცია, მაგრამ ეს არის მოსაუადი და მას დადასტურება სჭირდება ჩვენებებისა და ესპერტიზის საფუძველზე. პრეზიდენტის მკვლელის ვინაობა დახლოებით 500-მა კაცმა მაინც იცის სამეგრელოში.

ძიება რაღაცის გამო ჭიანურდება. შესაძლოა, იმიტომ, რომ გამოძიებით უთუოდ მივაღწეოთ იმდენ პირველ პირებამდე. სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის ჯარების გამოყენებით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა სამშობლოს ლაღატი. ბალტინი საქართველოში შევარდნაძემ რომ შემოიყვანა, ეს ჩვენებებით დასტურდება. მარტინი ამბობს, — შევარდნაძე გვმუე შეხვდა ბალტინს და ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი, რომლის შემდეგ საქართველოში რუსული ჯარები შემოვიდნენო.

მაქვს ინფორმაცია, რომ თავდაპირველად ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაცია იგორ გიორგაძეს დაეკავა, მაგრამ მას შევარდნაძისგან მოუთხოვია წერილობითი მითითება და რეზოლუცია ამის თაობაზე. ეს არ გააკეთა შევარდნაძემ. რაკი იგორ გიორგაძემ უარი თქვა ამ საქმის შესრულებაზე, სხვებმა გამოიჩინეს ინიციატივა. კიდევ კარგი, მან არ შეასრულა ეს საქმე. ცუდია თუ კარგი, ის პროფესიონალია და ამიტომ პრეზიდენტის ლიკვიდაციას ისე მოახდენდა, კვალს არ დატოვებდა. პრეზიდენტი ვილაც უგუნურებმა მოკლეს და უამრავი საშილიც დატოვეს. ამიტომ შეიძლება ამ მკვლელობის გამოძიება, ეს არ არის გაუსწნელი საქმე, მთავარია, საამისო ნება ჩვენმა პრეზიდენტმა გამოავლინოს.

იზო რიკაძე



აქსისი

ახალი მშენებარე სახლი მსხეთის ქ.17

(„მრევალთ ზღაპარი“)



არაყიზვილის ქ.№14

ტელ: 25 34 34; 91 25 34



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
 კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვცხვებთ და მოგწონთ თქვენი გავრდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომერში შემოგთავაზოთ.

პატარები გენიოსობენ

მიკას ნაკვესები ნიუ-იორკიდან


უცხოეთში მცხოვრები ქართული ოჯახი ტელევიზორთან შეკრებილა. ფილმს უყურებენ. ფილმის ერთ-ერთი გმირი მოწყვნილი იყურება ეკრანიდან. 3 წლის მიკა უყურებს და... ამასაც თბილისში უნდა?

მიკას ნიგნს უკითხავენ:
 — აი, ეს „ქაუა“, როგორ იქნება ქართულად?
 — ძოხა.
 — ეს „დოგია“, — ქართულად?
 — ძალი.



— „ჩიკენი“ როგორ არის ქართულად?
 — კოცოს (კვერცხის) დედიკო.

 — მიკა ერთს მივუმატოთ ერთი რამდენია? — ეკითხება დედა და თან თითებით აჩვენებს ისე, რომ თითები ერთმანეთისგან განცალკავებულია.
 — სპაიდერმენი, — პასუხობს მიკა.



II იპოვე ორი ერთნაირი სურათი



III ანა, გამოიქანი

- 1) ანდაზის მიხედვით, გაჭირვების დროს რის ყუნწში შეიძლება გაძვრეს ადამიანი?
 ა) მსხლის; ბ) ნემსის; გ) საზამთროს; დ) სადგისის.
- 2) ვისი სახელობისაა ბავშვთა ქალაქი „შოთა“?
 ა) შოი მღვიმელის; ბ) იოსებ გროშაშვილის; გ) იოსებ ნონეშვილის; დ) ნოდარ დუმბაძის.
- 3) რომელ ქართველ მეფეს ეჭირა ერთ ხელში ნიგნი და მეორეში — ხმალი?
 ა) დემეტრე II-ს; ბ) გიორგი ბრწყინვალეს; გ) დავით აღმაშენებელს; დ) თამარს.
- 4) რომელია ზედმეტი?
 ა) მფელი; ბ) მინდორი; გ) ველი; დ) სრიოკი.
- 5) რომელ ფრინველს გეგონენ სანადიროდ?
 ა) ქორს; ბ) შევარდნს; გ) სვაცს; დ) ბუს.
- 6) რომელია სისხლმზადი ორგანო?
 ა) ელვთა; ბ) ფილტვი; გ) თირკმელი; დ) კუჭქვეშა ჯირკვალი.

პატარა ნრუნუნა მოთხრობები

სოროდან ფრთხილად გამოცანცალდა პატარა ნრუნუნა ეზოში სასეირნოდ. ცოტა ხნის შემდეგ შეშინებული სოროში შევარდა.
 — სად იყავი? რა ამბავია? რა დაგემართა? — ჰკითხა დედა.
 — სასეირნოდ ვიყავი.
 — რამ შეგაშინა?
 — ორი მხეცი ვნახე ეზოში. ერთი ძალიან საშიში უნდა იყოს. თავზე ხერხი ადგას, ფეხებზე დეხები ასხია, თვალები დაბლვერილი აქვს და ნისკარტი მოკაუჭებული. რომ შემომხედა, ცალი ფეხი შეიკეცა, პირი დაალო და ისე დაიყვირა, რომ კინაღამ გული გამისკდა. შემეშინდა და გამოვიქეცი.
 — ეგ ხომ მამალია, შვილო, მაგისი როგორ შეგეშინდა?! — უთხრა დედა.
 — მეორე კი ძალიან საყვარელი მხეცი უნდა იყოს. თავი მრგვალი აქვს და თვალები დიდი. ტუჩებზე აქეთ-იქით ლამაზად გადაწყობილი უღვაშები ასხია. ტანი ხშირი ბუნვით აქვს მოსილი. მისი კუდი გრძელია და ფაფუკი, ფეხები ნაზი. თათებზე ბრწყალები ასხია. ეზოში რომ გავედი, მზეზე იწვა და ენით თათს ილოკავდა. თვალებს ხან გაახელდა, ხან დახუჭავდა. რომ დამინახა, ჩემკენ გამოექანა, შემეშინდა და გამოვიქეცი.
 — უი, ეგ ხომ კატაა, შვილო! ერიდე მაგას, თორემ ბევრ სხვა თავგვივით ვერც შენ გადაურჩები მაგის კლანჭებსა და კბილებს.

დბთუნები

ტყეში კურდღლებმა ხეზე საქანელა ჩამოაბეს. არხინად ქანაობდნენ და თან მღეროდნენ.
 დათუნებმა სიმღერა რომ გაიგონეს, მოირბინეს და ყურცქვიტებს ცქერა დაუწყეს.
 — მოდი, ერთი, ისინი ჩამოყვაროთ და ჩვენ ვიქანაოთ! — უთხრა უფროსმა დათუნამ უმცროსს.
 — აბა, ახლავე წადით, თვალთ ალარ დაგვენახოთ. თქვენმა სიმღერამ ყურები გამოგვიჭედა, — ებურდუნებოდნენ დათუნები და თან კურდღლებს თათებით უმასპინძლდებოდნენ.
 ჩამოყარეს ძირს საწყლები, შესხდნენ საქანელაზე და გახარებულები არხინად ქანაობდნენ და ღრიალებდნენ.
 იქვე ჩაცუცქული საბრალო კურდღლები კი იცრემლებოდნენ. უცბად საქანელა განყდა და დათუნებმა ძირს მოადინეს ბრაგვანი. კურდღლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

კუკური გოგიაშვილი

იპოვე 10 განსხვავებას



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე გვერდი მოაზრება მამუკა ხუციშვილმა



ერთი ნიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ლის

„კვირის პალიზის“ „ზღაპრების სასლა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოცხა



„კორუფციის კულტურას“ საქართველო თანდათან უმკლავდება

ენდრიუ ჯეკი

„ფაინენშელ თაიმსი“, 19 ნოემბერი, 2004

ზაფხულში, როდესაც ლევან იზორია პოლიციის აკადემიის რექტორად დაინიშნა, პირველი, რაც მან აღმოაჩინა, იყო ის, რომ სტუდენტების ცოდნის დონე სრულებით არ შეესაბამებოდა აკადემიის მოთხოვნებს და მათ უმეტესობას, აკადემიაში მოსახვედრად, დაახლოებით 3. 000 აშშ დოლარი ჰქონდა გადახდილი.

სამხრეთ კავკასიის ამ სახელმწიფოს მოქალაქეთათვის, ეს ერთობ დიდი თანხა, იმთავითვე კომპრომისული ნაბიჯი და ერთგვარი კორუფციული გარიგება იყო, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ სტუდენტი ამ თანხას აკადემიის დამთავრების შემდეგ „ამოიღებდა“. „როდესაც ადამიანი ასეთ თანხას იხდის, ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ამ ფულის უკან დაბრუნების მყარი გარანტია ჰქონდა“, - აცხადებს ბატონი იზორია, რომელმაც იურიდიული განათლება გერმანიაში მიიღო. ეს იმ კორუფციის მცირე მაგალითია, რომელმაც არა მარტო პოლიცია, არამედ საქართველოს საზოგადოების საგულისხმო ნაწილი მოიცვა და რომელთან დაპირისპირება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ახალგაზრდულ მთავრობას,

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ მოუწია.

კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ენერგიული პრეზიდენტი სააკაშვილი რისკავს და შესაძლოა, დამარცხდეს კიდეც. თუმცა წარმატების შემთხვევაში, ეს იქნება კორუფციასთან თითქოსდა უიმედო ბრძოლის წარმატებული მაგალითი რუსეთისა და პოსტსაბჭოური სივრცის სხვა ქვეყნებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოსა და უკრაინაში ისედაც დამკვიდრებულ პროდასავლურ მიდგომებს, ეს წარმატება საგრძნობლად ცვლის ვითარებას რუსეთის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე და რეგიონალურ ტენდენციად ყალიბდება.

დასასრული 80-19 გვერდზე

საზოგადოებრივ საბჭოებს ევროპის კავშირი დაეხმარება

გასულ კვირას სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ხელი მოაწერა ბრძანებას სამართალდამცავ სტრუქტურებზე მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭოების შექმნისა და საბჭოს წევრებისთვის სათანადო რწმუნებების დელეგირების თაობაზე.

გვანცა ლიპარტიანი

ასეთი საბჭოების პრაქტიკა დასავლეთის უმეტეს სახელმწიფოებში უკვე არაერთ ათეულ წელს ითვლის და არასტრუქტურირებული ფორმით ჩვენშიც არსებობდა. თუმცა პოლიცია და პროკურატურის წინასწარი დაკავების საკნებიდან გამოსული ინფორმაცია, ერთთა მტკიცებით, გაზვიადებული, ხოლო მეორეთა აზრით, შერბილებული, ცხადყოფს, რომ აუცილებელია საზოგადოებამ საკუთარ კონტროლზე აიყვანოს ეს საკითხი.

სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის მეთოდური მონიტორინგის უკიდურეს აუცილებლობაზე საუბრობენ მესამე სექტორი, მედია და უცხოელი ექსპერტები.

საბჭოების მიზნებისა და ამოცანების კომენტირება ვთხოვეთ ფონდ ALPE-ს PR და მედიაპროგრამების დირექტორს მერაბ ზასილაიას:

- ომბუდსმენის ბრძანების საფუძველზე საქართველოს 14 რაიონში, მათ შორის თბილისში, უკვე შეიქმნა საბჭოები, რომელთა მიზანია სამართალდამცავ სტრუქტურათა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდობის დონის ამაღლება და რაც მთავარია, ამ სტრუქტურების თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, პიროვნების თავისუფლების, კანონიერი ინტერესების შელახვის მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა და პროფილაქტიკა.

- საბჭოები ანგარიშვალდებულები იქნებიან საზოგადოების წინაშე და ბუნებრივია, ნებისმიერ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება, შეუფერხებლად მიმართოს ამ საბჭოს წევრებს.

საბჭოები დაკომპლექტებულია წარმომადგენლობითი პრინციპით, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა სახალხო დამცველს წარუდგინეს საკუთარ კანდიდატთა სია. ომბუდსმენმა, თავის მხრივ, ისარგებლა კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებით და სია დამტკიცა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს შემადგენლობა საბოლოო არ არის და მისი ფორმირება თანდათან მოხდება.

რამდენადაც ვიცი, სოზარ სუბარი ამზადებს საგანგებო მემორანდუმს, რომელსაც ხელს შინაგან საქმეთა, უშიშროების, იუსტიციის მინისტრები და გენერალური პროკურორი მოაწერენ. ეს არსებითია, რადგან ეს იქნება თანამშრომლობის სურვილის დეკლარაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონიტორინგის განხორციელება კონფრონტაციულ ფონზე მოხდება, რაც ვერ შეაფერხებს ამ საქმიანობას, თუმცა შეამცირებს მის მასშტაბებს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოს წევრთათვის ორგანიზაციული და პროგრამული დახმარების აღმოჩენას. ევროპის კავშირი „სამართალდამცავ სტრუქტურათა რეფორმის სამოქალაქო მხარდაჭერის“ პროექტის ფორმატში დაეხმარება საბჭოს წევრებს დებულების შემუშავებასა და პროფესიულ მომზადებაში. უკვე დეკემბრის დასაწყისში ევროკავშირისა და ბრიტანეთის საბჭოს ძალისხმევით ჩამოვლენ ამ საქმის ექსპერტები.

ასევე მნიშვნელოვანია ამ საბჭოებისადმი საქართველოს მოქალაქეთა ნდობის ფაქტორი, რადგან მხოლოდ საზოგადოებრივი ნდობა შეიძლება იყოს ქმედითი ინსტრუმენტი ისეთი ბარბაროსული ქმედებების წინააღმდეგ, როგორებიცაა ადამიანის ცემა, წამება და ღირსების შელახვა.



სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დანაშაული არ არის

საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 24 ივნისს მიიღო კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელიც მყარ საკანონმდებლო გარანტიებს უქმნის ისეთ ლიბერალურ ღირებულებას, როგორცაა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. ამ კანონის ავკარგებლობაზე ბევრის თქმა შეიძლება და პოლიტიკური სპეკულაციის საგანიც არაერთხელ გამხდარა. ფსევდომორალისტები მას ხან ზნეობის ხელყოფად, ხანაც ტრადიციების უარყოფად აცხადებდნენ. მიუხედავად ამისა, კანონი ძალაში შევიდა და ახლა ყველაფერი იმაზე დამოკიდებულია, თუ რა პრეცედენტებს შექმნის სასამართლო ხელისუფლება ახალი კანონის საფუძველზე. ვფიქრობთ, ჩვენი კოლეგა ჟურნალისტებისა და ზოგიერთი პრაქტიკოსი იურიუსტიკისათვის საინტერესო იქნება ახალგაზრდა იურიუსტის ირაკლი კობახიძის კომენტარები ამ კანონთან დაკავშირებით, რომელთაც მცირედი შემოკლებით ვთავაზობთ მკითხველს.

დასასრული 80-18 გვერდზე

„კორუფციის კულტურას“ საქართველო თანდათან უმკლავდება

დასასრული.
დასაწყისი 89-17 გვერდზე

„ჩვენ საფრთხეს წარმოვადგენთ, რადგან მთავრობა ეფექტურად მოქმედებს“, – აცხადებს ზურაბ ჟვანია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, – „კორუფციასთან ბრძოლის 10 თვის შედეგები იმედის მომცემია. ჩვენი მაგალითი სხვა რეჟიმებისათვისაც საფრთხის შემცველია“.

ბატონი სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველი თვეები აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიებში სეპარატისტული ტენდენციებისადმი აქტიური დაპირისპირებით გამოირჩეოდა. ამჟამად მთავრობა ფოკუსირებულია იმ საშინაო პროცესებზე, რომელმაც მყარი საფუძველი უნდა შეუქმნას სახელმწიფოს გამთლიანებას.

თვალში საცემია ბატონი სააკაშვილის მიერ განხორციელებული ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტროში. პირადი შემადგენლობის ოფიცერთა ნახევარზე მეტი დათხოვნილია, ხოლო შინაგანი ჯარები თავდაცვის სამინისტროს გადაეცა.

„საგზაო პოლიციის თანამშრომელი 2.000-5.000 აშშ დოლარს იხდიდა, რათა ამ სამსახურში ადგილი ეშოვა, – აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, – თანამშრომლებს მოგროვლი ქრთამების დიდი ნაწილი მათი უშუალო ხელმძღვანელებისათვის უნდა ეხადათ. ასევე თავად უნდა ეზრუნათ ფორმასა და ავტომანქანებზე. სისტემა „თვითდაფინანსებაზე“ იყო გადასული. ამას კორუფციადაც კი არავინ მიიჩნევდა. ეს ტრადიციად ჩამოყალიბდა“.

ახალი ანტიკორუფციული კამპანია დაგეგმილია, როგორც თვითდაფინანსებადი პროცესი. შტატების შემცირებიდან გამოთავისუფლებული თანხები ხელფასების გაზრდაზე მიდის. ამჯერად საშუალო ხელფასი ხუთჯერ გაიზარდა და 200 აშშ დოლარია. ბატონი ოქრუაშვილის გაანგარიშებით, ეს იმაზე მეტია, რაც რიგით თანამშრომელს ქრთამების ალების და ზემოთ მიტანის მერე რჩებოდა.

საგზაო პოლიციის ახალ შემადგენლობას აკრძალული აქვს, ჯიბეში 5 აშშ დოლარზე მეტი იქონიოს. გენერალური ინსპექცია მათ მუდმივ კონტროლს უწევს, რათა მოქალაქეთა მიმართ უკანონო ქმედებები არ განხორციელდეს. ათულობით თანამშრომელი გათავისუფლებულია სამსახურიდან. ისინი, ვინც სამსახურში დარჩნენ, უზრუნველყოფილი არიან უნიფორმითა და საპატრულო ავტომანქანებით. მათ კარიერული ზრდის უკეთესი შესაძლებლობა აქვთ. საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციისადმი შეიცვალა და ამაში გარკვეულ როლს სატელევიზიო გადაცემა „პატრული“ თამაშობს.

ამერიკის შეერთებული შტატების 911 სამსახურის მსგავსად საქართველოში სატელეფონო სერვისი 022 შემოიღეს.

პრეზიდენტ სააკაშვილის რეფორმების საყრდენი ძალა პროდასავლურად განწყობილი, ახალგაზრდა იდეალისტების თაობაა, რომელთაც მაღალი თანამდებობები უკავიათ. ასეთია შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც. უმეტესობამ იცის ინგლისური და წლობით უცხოვრია დასავლეთში. ბატონმა შევარდნაძემაც მიიწვია ასეთი ადამიანები მთავრობაში, მაგრამ მას პოლიციასა და პროკურატურაში არსებულ კორუფციასთან დაპირისპირება არ სურდა. სწორედ ამიტომ გაემიჯნენ მას საუკეთესო ადამიანები.

არსებობს საფრთხე, რომ გამოცდილების ნაკლებობა და რეფორმატორული აზარტი უარყოფითად აისახება ამ პოლიტიკურ გუნდზე. უცხოელი დიპლომატები გამოთქვამენ შეფოთებას ჟურნალისტებზე ზენოლის ფაქტების გამო. მათ ასევე აფიქრებთ საპროცესო შეთანხმებების ისეთი პრაქტიკა, როდესაც კორუმპირებული ჩინოვნიკი, სახელმწიფოსათვის გარკვეული თანხის გადახდის შემდგომ, ციხის საკანს ტოვებს.

მეორე საფრთხე სამსახურიდან დათხოვნილ პოლიციელთა კორუფცია. მათ ცეცხლსასროლი იარაღის ხმარება იცინ. ბატონი იზორია დარწმუნებულია, რომ „კრიმინალებს პოლიციის ფორმები უნდა გახადონ“.

ასევე არსებობს კორუფციის ძველი ჩვევების გაცოცხლების საფრთხეც. „რთული პრობლემაა თაობების ცვლა, – აცხადებს ბატონი ოქრუაშვილი, – „ზოგჯერ ასეთ რამესაც გაიგონებთ: ჩვენ გვესმის, ახლა ისეთი ვითარებაა, რომ პატიოსნად უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ ჩვენი დროც მოვა“.

თბილისის, საქართველოს დედაქალაქის მკვიდრთა მიაჩნიათ, რომ წარსულთან შედარებით პოლიციურმა ძალადობამ იკლო, თუმცა რეგიონებში მცხოვრებნი ამტკიცებენ, რომ მათთვის არაფერი შეცვლილა.

ასევე პრობლემაა პროდასავლურად ორიენტირებული ახალგაზრდების ნაკლებობა. ისინი ცოტანი არიან. მაგრამ როგორც ნატო ყანჩელი, პრეზიდენტის მრჩეველი აცხადებს – „ახლა განსაკუთრებული დროა და მრავალი ქართველი ცვლის თავის გეგმებს და საზღვარგარეთიდან დაბრუნებას აპირებს. ეს ჩვენი უკანასკნელი შანსია“.

მოქალაქეთა საყურადღებოდ! პოლიციის მხრიდან მათი უფლებამოსილების გადამეტების, არაკორექტული და ღირსების შემლახავი ქმედების შეშინებისა

გთხოვთ,
დაგვიკავშირდეთ ფონდში „ALPE“
თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914



მსოფლიო ბანკის სასამართლო რეფორმის პროექტის ფორმატში აცხადებს კონკურსს რეგიონალური ტელემაუწყებლებისათვის

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა რეგიონალური ტელეკომპანიების რედაქციებმა, შემოქმედებებმა უნდა წარმოადგინონ 2004 წელს ეთერში გასული ან საგანგებოდ ამ კონკურსისათვის მომზადებული სიუჟეტები, რომელთა არსი მიესადაგება კონკურსის თემას: „ადამიანი სამართლის ძიებაში“. სასურველია სიუჟეტში აისახოს რეგიონში მომხდარი რეალური სამართლებრივი კოლიზია, კონკრეტული მოქმედი გმირთა და ამ საქმის მიმდინარეობით პოლიციის, პროკურატურის, სასამართლო დონეზე (ან თუნდაც რომელიმე ერთ უწყებაში).

- წარმოდგენილი სიუჟეტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
- რამდენად აქტუალური და პრეცედენტულია სიუჟეტში აღწერილი ამბავი
 - რამდენად დაბალანსებულად და სრულად არის წარმოდგენილი მხარეთა პოზიციები
 - რამდენად ლაკონური და გასაგებია ამბის გადმოცემის სტილი

სიუჟეტის ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს. სიუჟეტი უნდა წარმოადგინოს VHS ფორმატში.

წარმოდგენილ ნამუშევრებს განიხილავს საგანგებოდ შექმნილი ჟიური. კონკურსში გამარჯვებული სიუჟეტის ავტორები დაჯილდოვდებიან საგანგებოდ სერტიფიკატითა და ფულადი პრემიით 500 ლარის ოდენობით. კონკურსში გამარჯვებული სიუჟეტი გადაიცემა საერთო ნაციონალური ფორმატით მაუწყებელი ტელეკომპანიის ეთერით.

მისამართი: ალექსანდრე ჭავჭავაძის ქ. 8-33
ტელ.: 92 29 14. ფაქსი: 92 05 96

მეზიანე

მომზადდა სოფო გუკიამ, მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

ქიარიმა შუშის ციხეში

ყველასაგან კარგად ცნობილი ყაჩაღი ქიარიმა, რომელიც წარსულს ზაფხულს დილიწის ხეობაში იყო დაბინავებული და გამვლელ-გამომვლელს გულ-მტკივნეულად შეუსუბუქებდა ხოლმე საპანებს, ახლა შუშის ციხეშია გამომწყვდეული. ქიარიმა ერთ-ერთ ტყეში დანავარდობდა თურმე რომ შეუპყრიათ.

როდესაც სამსჯავროში მონმედ მონვეულ თათრებს ჰკითხეს, ხომ იცნობთ ამ ყაჩაღსო, ყველამ უარი სთქვა იმის გამო, რომ ვაი თუ ციხიდან კიდე გამოიქცეს და მაშინ ხომ ყველას აგვანიავებსო. მხოლოდ ერთმა რუსის აფიცრმა მაშინვე იცნო ყაჩაღი ორმოც კაცში და შეჰყვირა: „ეს ის კაცია, ვინც ჩემი ფული წაიღო და ჩემს ცოლს აკოცაო“. მოსამართლეს იმ აფიცრის ცოლის მოყვანა უბრძანებია. იმ დედა-კაცს თურმე გულში ჩავარდნია ჩვენი ქიარიმა და სამსჯავროზე თქვა, ამ კაცს არ ვიცნობო.

ქიარიმა არხეინადა ზის თურმე შუშის ციხეში, მონმეები არა მყავს და მალე ისევ ვინავარდებო.

„ივერია“ №5, 1886 წელი



მაგნაირი ადვოკატი არ არისო

ამერიკაში ერთ რომელიღაცა მემამულეს ადვოკატი დასჭირდა. აიღო ახლო ქალაქის ადვოკატების სია და გადასინჯა მათი გვარები, მაგრამ ამ გვარებში ვერც ერთი ნაცნობი ვერ ჰნახა.


ადგა და შემდგომ ღონეს მიმართა: დასწერა წერილი ადვოკატთან, დაანერა ზემოდამ ადრესი და ჩააგდო ფოსტის ყულაბაში. ადრესი ასე დაანერა: ამა და ამ ქალაქის ერთ-ერთს პატიოსანს ადვოკატს მიერთვასო. არ გაუვლია დიდხანს და მემამულეს წერილი უკანვე მოუვიდა შემდეგის ზედ-წარწერით: „მაგნაირი ადვოკატი ჩვენს ქალაქში არ არისო“.

„ივერია“ №66, 1886 წელი

როგორ მოვიპოვოთ ალმასი

მარტის 13-ს ტფილისის მოქალაქე ივანე აკოფოვმა პოლიციის ხუთ განყოფილებაში გამოაცხადა, რომ 12 მარტს დილის 7 საათზედ მის ღია ოთახიდან გაუტანიათ ერთი კოლოფი, რომელშიც 3 ბეჭედი ყოფილა: ოქროსი, ალმასისა და ფირუზისა, სულ 700 მანეთი ღირებულებისა. საქმე სასამართლომდე მისულა. აკოფოვს ეჭვი აზნაურ კონსტანტინე კობახიძეზე აქვს. როდესაც მოსამართლემ ჰკითხა, რატომ ეჭვობ ამ კაცზეო, აკოფოვმა უთხრა: „ერთხელ როცა მე და ჩემი ცოლი ქუჩაში ვსეირნობდით, აზნაური კობახიძე და მისი ცოლი შეგვხვდნენ. იმ ქალმა დაინახა თუ არა ჩემი ცოლის თითზედ ალმასის ბეჭედი, გული წაუვიდა, მეც მიინდა ასეთი ბეჭედიო, კობახიძე კიდე ამშვიდებდა: „თუ გიყვარვარ, არ იტირო სიტყვას გაძღვე, ზუსტად ასეთი ბეჭედი გექნებაო.“

„ივერია“ №60, 1886 წელი



ბედნიერი ტუსაღები

პოლიციის მე-8 განყოფილებაში, გონჩარნის ქუჩაზედ მცხოვრებელმა კოლეფსკი სეკრეტარმა ალექსეი ივანოვმა ქალაღი შემოიტანა, რომ ჩემს ცოლს ოლიმპიადას, ჩემი შინ არ ყოფნობის დროს ჩემს ქალ ანნასთან და მდგმურ მიხეილ ჩიჩუასთან ერთად ჩემი საკუთარი ნივთები და ფულები წაუღიათ და გაქცეულანო. პოლიციელს ივანოვის ცოლ-შვილი და მდგმური მალე მეზობელ ქუჩაზედ აღმოუჩენიათ. ივანოვის ცოლი ცოლად ჩიჩუას გაჰყოლია და ყველანი ერთად არხეინად სცხოვრობდნენ ერთ დაქირავებულ ბინაში.

სასამართლომ ბედნიერს ოჯახს მოპარული ფული წაართვა და სამივეს სამი თვით დატუსაღება გადაუნყვიტა. ივანოვის ცოლი მოსამართლის გარდანყვეტილება დიდად გაახალისა, სატუსაღოშიც ყველანი ერთად ვიქნებითო.

„ივერია“ №26, 1886 წელი

ჩანაწი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ.
ჩანაწიში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და მათი პინარსი არ უნდა იქნას გაგავლილი როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

ფონდი ALPE
მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: office@alpe.ge, www.alpe.ge

დავითურის რაზმები

ალერგიის დროს — შექრის ნახტებზე დაანეთთ 5 წვეთი კამის ზეთი და მიიღეთ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე, 30 წუთით ადრე.

ნალღის ბუშტის ანთების დროს — შექამეთ 1-2 კბილი ნიორი 3-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსია 2-3 კვირა.

ფილტვების ანთების დროს — 1 ჩაქ დაუქცავეთ ალოეს ახალ ფოთლებს შეურთეთ 1 ჩაქ მარილი და მიიღეთ 1 სკ ნარევი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

გასტრიტის (დაბალი მთავი-

ანობის) დროს — მიიღეთ 1/4 ჩაქ შავი მოცხარის წვეთი 3-ჯერ დღეში.

შემორთული (ბუასილის) სისხლდენის დროს — კიტრის გამმარი ღერო დააქცავეთ და გარეცხეთ ცივი წყალში. 5 სკ დაუქცავეთ მასას დაასხით 0,5 ლ წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე და გააჩერეთ 20 წუთი. მიიღეთ 1/2 ჩაქ ნაყენი 3-ჯერ დღეში.

ჰიპერტონის დროს — 100 გ ქიშიშის დაასხით 1 ჩაქ მღულარე, ადუღეთ 10 წუთი და მიიღეთ ნახარში დღის განმავლობაში.

ისრაელში უმცავეთ მეთოდით, გარანტიით იკურნება:

სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტები, კიფოზი, ნეკროზი, შიშები, შაკიკი, პოსტ-ინსულტური დაბლა, არითმია, ტკივილები გულის არეში, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტები (t=37,2°C), სუციდის (თვით-მკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება.

კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა.
მის: **ა. „პურანიშვილი“**, კმ.ბ.ბ. ბარნიშვილის ქ. №18 ანატოლი შაპინძე ☎ 61-65-03; 893-20-68-21

№24(84) 25.XI-8.XII 2004

ოჯახის **მკურნალი** სამედიცინო ჟურნალი

თაფლობის თვის პრობლემა **განვიხილავთ და გავაყვანებთ**

თაქის ბავშვის შერყევა **ჰეილიტი — სანივათო დაავადება**

რავიანიზი **სტანოკარლია**

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

სწრაფად და შესანიშნავი შედეგებით! რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მენჯისხრტილის და ქათმისხრტილის გულმკერდის, სიმაღლეში ზრდა

ინკურნება ეს პათოლოგიები ცნობილ მანუალურ თერაპევტ — ექმ სოსო ფორცხალაიშვილთან: **მანუალური თერაპიის მოდერნიზებული მეთოდი სარტყელი „სწრაფი“** — მოდერნიზებული კონტრასტოლოგიის, ტანის გასწორება, „უნევერსალური ტახტი“ — ტოტალური და მიმართული (სეგმენტური) გაჭიმვა. სპეცტრენაფორი „ოქროს ღერო“, მოძრაობის კოორდინაციის აღსადგენად და სხვ. კონსულტაცია უფასოა!!!

მოზრდილი კურსი კლინიკაში 10-20 სთ. შემდეგ მისამართზე: **მარჯანიშვილის მოედანი, აღმაშენებლის 90/84 I სად., II სართ. ბინა 2.**
ტელ: 95-47-67; 899-26-51-08 75-06-14 (საღამოს)

სამკურნალო ბავთრები „ლიბა“

სემს(ო)პათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების ადგილია ქრონიკული დაავადებების ფონზე;

ხუთშაბათობით კონსულტაციები უფასოა
თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

რა არის თავის ტკივილის მიზეზი და რა სახის ტკივილები არსებობს?

სმირად გაიგონებთ: „როგორ დავიღალე“, „თავი მტკივს“... სტატისტიკური მონაცემებით დღეს ამ ჩივილით ყოველწლიურად ექიმს 16 მლნ-მდე კაცი მიმართავს. ამ, ერთი შეხედვით „უბრალო“, თავის ტკივილის მიზეზები ორგანიზმში მიმდინარე მრავალი ფუნქციური თუ ორგანული ცვლილებაა, რომელსაც სწორი დიაგნოსტიკა და მკურნალობა ესაჭიროება.

აღმოცენების მექანიზმის მიხედვით თავის ტკივილი იყოფა პირველად და მეორად პათოლოგიად. პირველადი დაგროვილი და განვითარებული სიმპტომა, ხოლო მეორადი — ორგანიზმში არსებული სხვადასხვა პათოლოგიის შედეგი.

პირველადი თავის ტკივილის მიზეზები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. ჯგუფისათვის დამახასიათებელია ტკივილი სტრესებსა და სტრესებს შორის პერიოდში. ნარმოიძვება და გრძელდება რამდენიმე საათი ან დღე. აღინიშნება ნათელი პერიოდებიც — შესაძლოა, თავის ტკივილმა არც კი შეგანახოთ მთელი წლის განმავლობაში. ტკივილი ყრუ ან მწვავე ხასიათისა და ვრცელდება შუბლის, საფეთქლის ან კეფის მიდამოში, მას სმირად თან ახლავს კისრის და მხრების ტკივილი. დღის განმავლობაში ტკივილი შეიძლება თანდათანობით გაძლიერდეს.

ასეთი ხასიათის ტკივილი ძირითადად დეპრესიული თავის არის დამახასიათებელი და ადვილად იკურნება — საკმარისია ტკივილგამაყუჩებელი აბების მიღება და რამდენიმე დღის განმავლობაში შევიდ პირობებში ყოფნა. მიზანშეწონილია ექიმის კონსულტაცია.

II ჯგუფისთვის დამახასიათებელია: მწვავე ხასიათის თავის ტკივილი შუბლის, საფეთქლისა და თვალბუდის არეში, რომელიც 24-48 სთ გრძელდება. ტკივილს შეიძლება თან ახლდეს გულისრევის შეგრძნება, ღებინება, სინათლის შიში. მსგავსი ხასიათის ტკივილი შუბლის მაჰაკაცებელ და მასთან მიდებულ 1სთ-ში უფროსტარდება და 1სთ გრძელდება, რასაც შეიძლება თან ახლდეს ცხვირიდან გამონადენი და ცრემლდენა. მდგომარეობა ფრიად სერიოზულია და აუცილებელია ალკოჰოლურ სასმელზე უარის თქმა.

თავის ტკივილი

სიმსივნური პროცესებით გამოწვეული თავის ტკივილი ძლიერია და სისტემატური ხასიათის, იგი უფრო ახლავს სწრაფად პროგრესირებად სიმსივნეებს. ამ დროს სმირია გულისრევა და გონების დაკარგვა. ზოგიერთი სახის სიმსივნის დროს პირიქით, თავის ტკივილი შეიძლება საერთოდ არ გამოვლინდეს წლების განმავლობაში.

რაც შეეხება თავის ტკივილი სისხლის ჩაქცევას, ამ დროს თავის ტკივილი უცებ აღმოცენდება და უფრო სმირად თავის ერთ ნახევარს მოიცავს. მას შეიძლება თან ახლდეს ღებინება და გართულებულ შემთხვევებში — გონების დაკარგვა და კრუნჩხვები.

შაკიკი — ვარაუდობენ, რომ იგი მუცხვირის ძირითადი მიზეზია. თავის ტკივილი უფრო სმირად ვიდრე მამაკაცებში. შაკიკისთვის დამახასიათებელია პერიოდულად განვითარებული ძლიერი თავის ტკივილები, რომელიც მოიცავს ერთ ნახევარს, ვრცელდება ყბებზე თან ახლავს გულისრევა და ღებინება, შეტყვის დროს კი ზოგჯერ მხედველობის დაქვეითება, ფსიქიკური გაუმართაობა.

ნევრალგიის დროს აღმოცენებული თავის ტკივილები შეტყვის ხასიათისა და რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე გრძელდება. ზოგჯერ მას თან ახლავს ნერწყვის და ცრემლის უხვად დენა. ხანგრძლივად მიმდინარე თავის ტკივილების დროს აუცილებელია ჩიტიაროთ ოფთალმოლოგიური



სმირად თავის ტკივილები ახლავს მალაღ წნევას. ასეთ დროს თავის ტკივილი ლოკალიზდება კეფის არეში და უფრო სმირად ვიდრე დილით, საწოლიდან წამოდგომის შემდეგ კი თანდათან სუსტდება და შეიძლება გაქრეს კიდეც. ზოგჯერ თავის ტკივილი საღამოს საათებშიც აღინიშნება მთელი დღის ემოციური და ამოღელი სამუშაოს შემდეგ. ფსიქოგენური ნარმოიძვების თავის ტკივილები უფრო სმირად ყრუ ხასიათისა ან ძალიან სუსტია. ამ დროს ადამიანს აქვს თავზე შემოქრული სარტყელი შეგრძნება. თავის ტკივილი შეიძლება დაკავშირებული იყოს რომელიმე განსაზღვრულ დღესთან (კვირა, ორშაბათი, სახელო დღეები). სტატისტიკით, ფსიქოგენური ნარმოიძვების თავის ტკივილი უფრო სმირად.

თითქმის არ არსებობს დაავადება, რომელსაც არ ახლდეს თავის ტკივილი (ინფექციები, საჭმლის მომნელებელი სისტემის პათოლოგიები, ჰორმონალური დარღვევები...), ამიტომ, აუცილებელია შესატყვის დიაგნოსტიკა და ძირითადი დაავადების სწორი მკურნალობა.

ეს საინფორმაციო

...ორგანიზმში სელების ან თუთიის უქმარობას მწყობრიდან გამოჰყავს ნერვული სისტემა, იწვევს გულისა და კანის დაავადებებს, ნეკროზს, ალერგიას, მადის დაკარგვას, აუარესებს საჭმლის მონელების პროცესს. დაგვეთანხმეთ, შთაბეჭდავი დახასიათება... ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა რეგულარულად მიიღოთ სპეციალიზირებული პრეპარატი. „ბიოპტეინ სელენი + თუთია“, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმს ამ ქიმიური ელემენტებით და ხელს შეუშლის ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების განვითარებას.

...ლურკანა სუროგატი დედა გახდა. მართალია კალ-

მახი უფრო ითვლება დელიკატეს თევზად, ვიდრე ლურკანა, საზაგეროდ, მისი რეპროდუქციული შესაძლებლობანი დაბალია, ვიდრე ლურკანასი. იპონელებმა მეცნიერებმა ლურკანას ემბრიონის ქსოვილი კალმახის ემბრიონის ქსოვილი და „მოდიფიცირებული“ ლურკანას ქვირითიდან ნარმოიქმნენ პატარა კალმახები.

მეცნიერები ახალი ტექნოლოგიის აპრობირებას აპირებენ თინუსის ქვირითზე — ყველაზე პოპულარულ თევზზე, რომლისგანაც სუშისი ამზადებენ. თინუსის სუროგატ დედად იქცევა სუპრია.

ლიბა №43

ბოიკოპი დიზაინერის

პირველ რიგში ეს ინფექციური დაავადება აზიანებს ნაწლავებს. მისი „დისლოკაციის“ საყვარელი ადგილია მსხვილი ნაწლავის კედლები. დიზენტერიის იწვევს უმარტივესი ერთუჯრედიანი პარაზიტები და ბაქტერიები. მისი ინკუბაციური პერიოდია გრძელდება 1-დან 7 დღემდე. თავდაპირველად მუცელში ისეთი ტკივილები ვითარდება, როგორიც მონაშვლას ახასიათებს (მუდმივი და შეტყვითი), იწყება დიარეა, ორგანიზმის გაუწყობლობა, შეიცვლება, თავის ტკივილი, მადისა და არტერიული წნევის დაქვეითება, განავალს მოსდევს სისხლი, ლორწო და ჩირქი. ამ დროს საჭიროა სერიოზული მკურნალობა.

ისე, როგორც ნებისმიერი ნაწლავური ინფექცია, დიზენტერია გადაეცემა ფეკალურ-ორალური გზით. დასნეობების ყველაზე გავრცელებული გზებია:

- ჭუჭყიანი ხელები — ამ დროს საკმარისია ავადმყოფისთვის ხელის ჩამორთმევა;
- დაბინძურებული წყალი;
- ბუზისაგან დაბინძურებული ხილი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები;
- საოჯახო ჭურჭელი. დასნეობნება შეიძლება ნებისმიერ რესტორანსა და ბარში. სრულიად საკმარისია დალიოთ ცუდად გარეცხილი ჭიქიდან, საიდანაც დალია ინფიცირებული ადამიანმა.
- დიზენტერიის ბაქტერიები სწრაფად მრავლდება სალათებში, ვინეგრეტებში, ხორცში, ფარშიში,

თევზში, რძესა და რძის პროდუქტებში, კომპოტებში, კისელში. დიზენტერიის დროს, არარეკომენდებულია თვითმკურნალობა ანტიბიოტიკებით, რადგან ის შლის კლინიკურ სურათს და ართულებს მკურნალობას. მხოლოდ გამოკვლევის შემდეგ დაგინიშნავთ ექიმში ანტიბაქტერიულ თერაპიას, გაუწყობლების დროს ექიმში ავადმყოფს უნიშნავს ინიექციებს, ტოქსინების გამოსადეგნად — სორბონტებს, ნაწლავების სპაზმების მოხსნელად — სპაზმის მომხსნელ საშუალებებს.

ავადმყოფობის შემდეგ რეკომენდებულია ჭამოთ შემდეგი პროდუქტები:

- შემწვარი ვაშლი ყველაზე საუკეთესო ნაშალია „გაზანჯული“ ნაწლავებისათვის;
- წყალზე მოზადებული ფაფეული და კარტოფილის პიურე,

გაიხორციელოთ სისხლი შაკიკის უმცავეობა ბინიდან გასუქვად

გაიხორციელოთ უფასო კონსულტაცია

- ანალიზები
- ანალ-ჩიკატი
- ანტიპარაზიტიკული დამამკურნალებელი სახეებები
- ანტიბიოტიკური თერაპია
- ანტიბიოტიკური თერაპია

სპ. „კონსტანტი“
ბოლოპოლის ქ. 4
☎ 35-44-05; 34-74-03; 899-19-60-55

გამკურნალო

ქრონიკული პრესიონის

- ქსნის-დაუხსნეუა 15-20 წთ-ში;
- ქსნის-დაუხსნეუა ანარტურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღე-ღამეის არსებული ყველაზე თანამდებრივი მეთოდებით, მათ შორის, პროფ. ვსუკოვის ანარტური, „ინტრაკონი“, რომელსაც ექვეტრობთ ანალიტი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეიტი) №10 კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

პროკურორი ბერლუსკონისთვის მ-წლიან პატივსაცემად ითხოვს

იტალიაში ახალი ძალით იფეთქა სიღვივო ბერლუსკონისთან დაკავშირებულმა სკანდალმა. იტალიის პრემიერ-მინისტრს ჩინოვნიკების მოქროთაშენი ედგება ბრალად. მილანის პროკურორობმა ილადა ბოკასინიმ, რომელიც ამ საქმეს იძიებს, იტალიური კანონმდებლობით მექრთამეობისთვის გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელი — რვანდლიანი პატივსაცემად მოითხოვა გაპოლიტიკოსებული მედიამაგნატისთვის.

სიღვივო ბერლუსკონის იმაში ადანაშაულებენ, რომ მან, ჯერ კიდევ 1985 წელს მოისყიდა მოსამართლე რენატო სკილანტე, რათა არ დაეშვა კვების პროდუქტების მწარმოებელი სახელმწიფო კომპანიის მიყიდვა კონკურენტისთვის, კერძოდ კი, სასურსათო გიგანტ „ბუტონისთვის“. სკილანტეს მამინ 46 ათასი დოლარი გადაუხადეს.



რენატო სკილანტესთვის ქრთამის მიცემა სენიორ ბერლუსკონისთვის ნაყენებულ მრავალ ბრალდებათა შორის ყველაზე სერიოზულია. მაგრამ ბრალდებული ამას ჯიუტად უარყოფს და ამტკიცებს, რომ ის მეგობრებზე მოსამართლეების მსხვერპლია, რომელთაც სურთ მას პრემიერ-მინისტრის სავარძელი დაატოვებინონ.

ახლა სიტყვა სასამართლოზეა. პრემიერის შემდეგი არჩევნები იტალიაში მხოლოდ 2006 წელს გაიმართება, მაგრამ თუ სასამართლო ბერლუსკონის დამნაშავედ ცნობს, ცხადია, ვადაძვე გადააყენებს და არც მარტო ამას აკმატებს.

მირ ნოვოსტიე

ბორბი-მატარებელი

რამდენიმე ხნის წინ ლონდონის ვატერლოოს ვაგზალზე გაჩერდა 2,5-მეტრიანი მატარებელი, რომელიც ბაქანზე თავმოყრილმა საზოგადოებამ... შეჭამა — მატარებელი საიუბილეო ტორტი გახლდათ. დაბადების დღეს კი ზეიმობდა ნამდვილი მატარებელი, რომელიც უკვე ათი წელია კურსირებს ლონდონიდან პარიზში ლა-მანშის ქვეშ გათხრილი გვირაბით. იუბილეს აღსანიშნავად კომპანია Eurostar-მა გრანდიოზული ზეიმი მოაწყო — 10 წელიწადში მატარებელი, რომელიც 3 საათში ფარავს მანძილს, 59 მლნ მგზავრს მოემსახურა. კომპანია Eurostar-ისთვის ამ პროექტს მოგება არ მოუტანია, რადგან მარტო გვირაბით სარგებლობაში მოგების 60%-ს იხდის. 2005 წლიდან ამ მარშრუტზე ბევრად უფრო ჩქარ მატარებელს გაუშვებენ, რომელიც მანძილს ორსაათ-ნახევარში დაფარავს. ეს კი გაცილებით მეტ მგზავრს მიზნიდაც და შემდეგი დაბადების დღე Eurostar-მა იქნებ უფრო დიდი ტორტით აღნიშნოს კიდევ.

ვლასტი

უკრაინა: დაღვა გადაწყვეტი ქვე



თანაფარდობა უკრაინაში ოპოზიციის სასარგებლოდ შეცვალა. უკრაინელებს აღარ სურთ კორუმპირებული ხელისუფლება და მზად არიან დემოკრატიისათვის საბრძოლველად. ვლადიმირ პუტინმა, რომელმაც უკვე მიულოცა გამარჯვება ვიქტორ იანუკოვიჩს, ევროკავშირის ლიდერებს მოუწოდა, რომ არ ჩაერიონ უკრაინის შინაურ საქმეებში. ბატონი პუტინი რეგიონული ბონაპარტივით იქცევა — ყოფილი საბჭოთა იმპერიის ქვეყნების ბატონობისკენ ისწრაფვის.

უილ სტრიტ ჯორნალი, აშშ

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინამ დამოუკიდებლობა მზამზარეულად მიიღო. ახლა 48-მილიონიანი ქვეყანა პირველად იბრძვის რეალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. დღეს — მშვიდობიანი რევოლუციის დღეებში, მხოლოდ საბრძოლველად არჩევნების ბედი როდის წყდება. ოპოზიციონერთა ლიდერის, ვიქტორ იუშენკოს სახე (რომელსაც, როგორც ირწმუნებინ, მონაწილის მცდელობის კვალი ადევს) სახალხო ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ამჟამინდელ პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას ჩანს, არ ეგონა, რომ ხალხს ამ ზომამდე აღაშფოთებდა არჩევნების გაყალბება. მასშტაბურმა დემონსტრაციებმა, მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების აღშფოთებამ, ძალთა

უკრაინის უმაღლესმა რადამ 21 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნები ბათილად ცნო

ბაქნიკური შესვენება

სახელმწიფო დუმის დეპუტატები შეეგუვნენ იმ აზრს, რომ ვლადიმირ პუტინის მმართველობა ძალიან დიდხანს გაგრძელდება, თუმცა თავად პუტინმა განაცხადა — სამი წლის შემდეგ პრეზიდენტი აღარ ვიქნები, მაგრამ პოლიტიკიდან არ წავალ. კრემლში სხვა გეგმაც არსებობს — პუტინი შესამედაც გახდება პრეზიდენტი ისე, რომ კონსტიტუცია არ დაირღვევს, იგი 2008 წელს წავა, რათა ოთხი წლის შემდეგ კვლავ დაიბრუნოს პრეზიდენტის სავარძელი.

ერთ-ერთი დიდმოხელის თქმით, პუტინის თანამებრძოლთა წინადადებაზე — შესამედ აუცილებლად უნდა იყოს პრეზიდენტი, პუტინმა უპასუხა: — თანახმა ვარ, თუ „ლაშაზი ვარიანტი“ მოითქმება. ვარიანტი მოიძებნა. კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი შესვენების შემდეგ შესამე ვადით არჩევის შესახებ.

„ლაშაზი ვარიანტი“ ცხოვრება ალბათ თავად შეიტანს კორექტივებს. პირველ რიგში დადგება საიმიფო მემკვიდრის საკითხი, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია. პუტინზე უკეთ არავინ იცის, რა სახელისუფლებო არსენალს ფლობს პრეზიდენტი — მან ხომ დიდი ინერგია შეაღია „სახელმწიფოს მტრებთან“ ბრძოლას.

გასათვალისწინებელი იქნება ისიც, რომ ვაითუ, პუტინის მემკვიდრემ სრულიად კანონიერად მოისურვოს მეორე ვადით პრეზიდენტობა და პუტინს ხელი შეუშალოს. სადღე-

სოდ, ყველაზე პოპულარული ვერსია პუტინისათვის გულისხმობს ყოვლისშემძლე პრემიერ-მინისტრის როლს ნომინალური პრეზიდენტის ფონზე.

სხვა ვერსიით, პუტინი შესაძლოა გამხდარიყო პარტიის ლიდერი. მაშინ ის არც რუსეთის ეკონომიკაზე აგებდა პასუხს და არც უშუალოდ პრეზიდენტსა თუ პარლამენტზე იქნებოდა დამოკიდებული. მაგრამ პუტინი საკუთარ თავს რუსეთის გამაერთიანებლად მიიჩნევს და არც ერთ პარტიაში არ შევა, რადგან პარტია კი არ რაზმავს ხალხს, არამედ აცალკევებს.

ასე რომ, „2008 წლის პრობლემის“ გადასაჭრელად ხელშეუხებელი სცენარი ჯერჯერობით არ არსებობს. 2006 წლისათვის ალბათ მიღებული იქნება პრინციპული გადაწყვეტილება — ვინ იქნება მემკვიდრე. თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ, 2007 წლის ზაფხულში პუტინი შემცველს დაასახელებს. გავლენის სფეროების ახალი განაწილებით შემინებული მისი გარემოცვა ყველაწირად შეცვდება დაითანხმოს პუტინი ახალ საპრეზიდენტო ვადაზე და შესაძლოა, ვერც მან გაუძლოს ცდუნებას და კონსტიტუციის შეცვლის გზების ძებნა დაიწყოს. თუ აუცილებელი გახდება ტექნიკური შესვენება, პუტინი გააკვება სქემას — მივდივარ, მაგრამ ჩემი რეჟიმი რჩება.

ნიუზიუქი

ფიდელ კასტროს 87 ვლნ დოლარს გადაახდებინებენ

ამერიკელმა ჯენეტ რეიმ ფიდელ კასტროს სასამართლოში უჩივლა და მოიგო კიდევ საქმე. კომპენსაციის სახით იგი 87 მლნ დოლარს მიიღებს კუბაში დაღუპული მამის გამო. ეს გადაწყვეტილება მაიამის სასამართლომ მიიღო, კომპენსაციას მომჩივანს გაუნაღდებენ ამერიკის ხელისუფლების მიერ გაყინული კუბის საბანკო ანგარიშებიდან. ამერიკელი მფრინავი პიტერ რეი 1961 წელს დაიღუპა — ფიდელ კასტროს რეჟიმის დაშობის მცდელობისას, მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. თავად რეი კი კუბის ხელისუფლებამ დახვრიტა. ამერიკელი პილოტის ცხედარი შავის მუზეუმში მინის კუბოში დასვენეს, რათა ყველა დარწმუნებულიყო, რომ ამერიკელები მართლა ამოკლდნენ ფიდელ კასტროს რეჟიმის დაშობას.

პილოტის ქალიშვილმა ფიდელ კასტროს ორასზე მეტი წერილი მისწერა — სათხოვდა მამის ცხედარი დაშიბრუნეთო. დაღუპული პილოტის ცხედარი მხოლოდ 18 წლის შემდეგ გადაეცა მის ნათესავებს.

სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა კანონის სრულად დაცვით, რომელიც ტერორისტული რეჟიმების მსხვერპლთა ოჯახებს მატერიალური კომპენსაციის მიღების უფლებას აძლევს. მოპასუხე — კუბის პრეზიდენტი — სასამართლო პროცესს არ დასწრებია.

კომერსანტი

თახუვის კაიბალაგანდეა

ლუიზიანის შტატის ქალაქ გრინსბურგის კაზინომ ადგილობრივ პატარა მდინარეზე კაშხლის მშენებლობაში 70 ათასი დოლარი „ჩადო“, თუმცა არც კაზინოს მებატრონებ და არც თანამშრომლებმა ამის თაობაზე არაფერი იცოდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე ხნის წინ კაზინოდან ასდოლარიანები გამეგილი სამი ჩანთა მოიპარეს. ეტყობა, გამტაცებელს პოლიციისა შეეშინდა და კაზინოდან



50 კმ-ის დაშორებით ფული გადამალა. ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთი ჩანთა თხვევს უპოვიათ და ასდოლარიანებით კაშხლის ნახვრეტები ამოუქოლავთ — აბა, თახვი სხვა რაში გამოიყენებდა ფულს. პოლიციას იმედი აქვს, რომ დანარჩენ ფულსაც მალე იპოვის.

გაირკვა, რომ კაზინო გაძარცვა მცველმა ჟაკლინ უოლმა, მან სათვალთვლო კამერა გააფუტა და ფული გაიტაცა. როცა პოლიციამ მიაგნო, ჟაკლინ უოლმა თავად აღიარა — ჩანთები მდინარეში ვისროლო. საინტერესოა, რომ თახვევს კუპირებისათვის არაფერი უენიათ.

იტოგი

ნანა გვერდი მოამზადა ანტონოვა-ილურიძემ

გლასკო-სმიტლიანი

პანადოლი

ანადოლის სუსპენზია
ბავშვებისათვის

არ შეიცავს შაქარს და ალკოჰოლს

მას ენდობიან დედები და პედიატრები!

შეიცავს პარაცეტამოლს

© 2004 GlaxoSmithKline

სადაც არის ადგილი, იქ არის პანადოლი

ჩვენი ქვეყნის წარმოება ეკონომიკური შესაძლებლობის კი ბაზისა

დეკლარირებული ოპერატიული მონაცემებით, ქვეყნის მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების მიერ 2004 წლის იანვარ-სექტემბერში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მოცულობამ, ძირითადი საქმიანობის მიხედვით, მოქმედ ფასებში 1218,2 მლნ ლარი შეადგინა, რაც შესაბამისად 10,6 პროცენტით მეტია, ვიდრე 2003 წლის იანვარ-სექტემბერში.

2004 წლის იანვარ-სექტემბერში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მაჩვენებლები, საწარმოთა ტიპების მიხედვით, ასეთ სურათს იძლევა (იხ. ცხრ. №1):

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 2004 წლის იანვარ-სექტემბერში მრეწველობის ძირითადი საქმიანობის მიხედვით წარმოებული პროდუქციის მოცულობის (მოქმედ ფასებში) 35,0 პროცენტი სახელმწიფო სექტორზე მოდის, ხოლო 65,0 პროცენტი — არასახელმწიფო სექტორზე (2003 წლის იანვარ-სექტემბერში — შესაბამისად, 39,3 და 60,7 პროცენტი). ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ძირითად მრეწველობაში ლომის წილი მსხვილ საწარმოებს უფრო და მით უფრო, კვების მრეწველობას, არსებული რეალობის აღწერა ერთ-ერთი ცნობილი ქართული საწარმოს ხელმძღვანელს ვთხოვეთ.

ლავა მთავარი, კომპანია „სანტეს“ გენერალური დირექტორი:

— მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ძალზე გაიზარდა კონკურენცია მწარმოებლებს შორის, წარმოებაც მნიშვნელოვნად არის გაზარდილი — ჩვენი გათვლებით, 40 პროცენტზე მეტით, გასულ წელთან შედარებით. შესაძლოა აღნიშნული მაჩვენებელი იმის მანძილზე იყოს, რომ გაიზარდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებლის ნდობა ქართული პროდუქტების მიმართ, რაც განპირობებულია ხარისხის ამაღლებითა და ინფორმაციული ვაკუუმის მეტ-ნაკლებად შევსებით. გარდა ამისა, მომხმარებელთა შორის ბოლო პერიოდში გაცილებით პოპულარული გახდნენ მსხვილი კომპანიები, რამაც აშკარად დაჩაგრეს მცირე და საშუალო საწარმოები. მცირე საწარმოებს საქართველოში არ გააჩნიათ წარმატება, არც რეკლამის გაკეთების შესაძლებლობა და სიმართლე ითქვას, ვერც პროდუქციის ხარისხით დაიკვივნიან. ჩვენი მთავარი კონკურენტები გლეხები არიან. საზოგადოებაში ჯერ კიდევ გაბატონებულია აზრი, რომ სოფელში წარმოებული პროდუქტი ნატურალურია და უკეთესია, ამიტომ მაღაზიაში ნაყიდს გლეხისგან შინ მიტანილს ანიჭებენ უპირატესობას. თუმცა, ეს პრობლემა მხოლოდ საქარ-

ცხრილი №1	პროდუქციის მოცულობა (მოქმედ ფასებში) მლნ ლარი	პროცენტობით ჯამთან	პროცენტობით 2003 წ. იანვარ-სექტემბერთან (შესაბამისად ფასებში)
ძირითადი მრეწველობა — სულ	1218,2	100	110,6
მათ შორის			
საწარმოთა ტიპების მიხედვით:			
მსხვილი	996,6	81,8	105,3
საშუალო	112,7	9,3	132,4
მცირე	108,9	8,9	152,9

თველოში არ დგას, თურქეთში რძის პროდუქტების 70% სწორედ ე. წ. დატარებითი სისტემით რეალიზდება.

ემზარ ჯგერინაია, მეცნიერი ეკონომისტი:

— თუ გასული 10 თვის ზოგად ეკონომიკურ ფონს გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩნთ, რომ ეროვნული ვალუტა სერიოზულად გამყარდა, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ გაიზარდა იმპორტი, ხოლო ექსპორტი გაზარდა უნდა მოჰყოლოდა, რადგან იმპორტირებული საქონლის შემოტანა უფრო იაფი ჯდება. ექსპორტის გაძვირებას კი უნდა მოჰყოლოდა საექსპორტო წარმოების შემცირება, რასაც უნდა გამოეწვია დეფიციტის, ანუ ექსპორტისა და იმპორტის შორის სხვაობის გაზრდა საავაჭრო ბალანსში. არსებული სტატისტიკური მონაცემები კი სრულიად საპირისპირო სურათს იძლევა. მხოლოდ წელს, გასულ წლებთან შედარებით, ექსპორტი ორჯერ არის გაზარდილი, რაც განპირობებულია ექსპორტის ლეგალიზებით. ქვეყანაში ფინანსური წესრიგის დამყარებას საქართველოში წარმოებული პროდუქციის ლეგალიზაცია მოჰყვება, რაც აისახა კიდევ სტატისტიკურ მონაცემებში. შესაძლოა, ვინმეს დაეძალოს კითხვა — ერთ წელში წარმოების 30-40%-ით გაზარდა ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ნამდვილ ბუმს გამოიწვევდა და რატომ არ ხდება იგივე ჩვენთან? იმიტომ, რომ ჩვენი მაჩვენებლები ძალზე შორს არის ჩვენივე მოთხოვნილებებისგან. წარმოების 40%-იანი ზრდა მარტივად

ცხრილი №2	პროდუქციის მოცულობა (მოქმედ ფასებში) მლნ ლარი	პროცენტობით ჯამთან	პროცენტობით 2003 წ. იანვარ-სექტემბერთან (შესაბამისად ფასებში)
საქართველო — სულ	1218,2	100	110,6
მათ შორის:			
ქ. თბილისი	446,1	36,6	107,1
აფხაზეთის არ	48,5	4,0	99,4
აჭარის არ	22,9	1,9	88,2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	19,6	1,6	114,3
გურია	9,1	0,7	125,6
იმერეთი	126,4	10,4	137,7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4,5	0,4	79,6
შიდა ქართლი	99,8	8,2	119,5
მცხეთა-მთიანეთი	39,7	3,3	134,7
კახეთი	37,7	3,1	129,4
ქვემო ქართლი	246,6	20,2	101,6
სამცხე-ჯავახეთი	48,8	4,0	112,7

ასე შეიძლება ავსხნათ: ვთქვათ, თქვენ გაქვთ 10 კვერცხი და მხოლოდ 4 მოგემატათ, მაშინ, როცა 100-200 კვერცხი გჭირდებათ. გაზარდილი წარმოების 40%-იანი ზრდა ბიზნესის ლეგალიზების წილზე მოდის და მხოლოდ 5% ასახავს რეალურ ზრდას.

როდის აისახება თითოეული მოქალაქის ეკონომიკურ პირობებზე წარმოების ზრდა ქვეყანაში?

— ვიდრე ამ კითხვებზე გიპასუხებდეთ, ერთ საინტერესო ფაქტს მოგიყვანთ: ცოტა ხნის წინ, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით მოწვევით გამოვიწვი „მედი ინ ჯორჯია“, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოში წარმოებული საქონელი. ბევრი ეკონომიკური ექსპერტი, შიდაწარმოების საკითხებში გათვითცნობიერებული მრავალი პროფესიონალი გაოგნებული დარჩა, — თურმე, საქართველო ურთულესი ტექნოლოგიების მიღებას აწარმოებს. გულწრფელად გამოაცხადებ ჩვენი საკონსერვო წარმოებამაც. გულგრილს ვერ დაგტოვებდა ყოფილი დიდი ქარხნების მიერ

წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მაშინ, როდესაც გაცილებით დაბალი ხარისხის ტექნიკა ირანიდან შემოგვაქვს. ახლა თქვენს კითხვასაც ვუპასუხებ — ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა ადამიანის დასაქმებაა. დასაქმების გასაღები კი მწარმოებისა და თავისუფალი ბაზრის განვითარებაში ძვეს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის განვითარებასა და თამაშის იმ წესებზე, რომლებსაც ოპტიმალური საგადასახადო კოდექსი, ბიზნესის აპოლიტიზება და მისთვის მეტი თავისუფლების მიცემა ჰქვია. მერწმუნეთ, ყოველივე ამას მოჰყვება უცხოური ინვესტიციების შემოდინება, რაც ხალხის კეთილდღეობით დაგვირგვინდება.

როგორ ფიქრობთ, რეგიონების მიხედვით წარმოდგენილი სამრეწველო პროდუქციის ცვლილებები რამდენად ასახავს რეალობას?

— თქვენ უშიშესი და ურთულესი საკითხი

საეხსიარო წინადადება

განსაკუთრებული ფასები

50%-იანი ფასდაკლება

ქართული წარმოების პროდუქციის რეკლამირებისას

„კვირის პალიზა“
მიესალმებოდა ყველა
ქართველ მენარმეს
და უსურვებს
წარმატებებს!

ტელ. 33-78-07

**ქართული ნაწარმი
წლებით უნდა სარგებლობდეს**

უმაღლესი ხარისხის ნედლეულისგან დაგზავნილი ქართული წარმოების

ხელსაწმენდები

საეხსიარო NAPKINS

EKO

100%-იანი ცელულოზა

საეხსიარო NAPKINS

სუპერ

Super Napkins

PERCENT HYGIENICAL CELLULOSE 100

100%-იანი ცელულოზა

გაალაგაზით თქვენი სუფრა

შპს „დაბ“-ის პროდუქცია

ცხოვრებისეული კურიოზები

1. „ილბლიანი რეიხი“, ანუ ადერა ყახურად



კომუნისტების დროს, დაახლოებით 60-იან წლებში, როდესაც არც სამარშრუტო ტაქსები იყო და თითო-ორი ავტობუსი თუ დადიოდა, კახელებისთვის თბილისთან დამაკავშირებელი ძირითადი ტრანსპორტი მატარებელი გახლდათ.

მოგესხენებათ, რა მოსაბერებელიც იყო მაშინდელ დროში ზოზინა მატარებელი ჯდომა და მგზავრებიც დროის მოსაკლავად „სეკას“ თამაშით ირობდნენ თავს.

საგარეოელ მალხაზ ივანელაშვილსაც ხშირად უწევდა მატარებლით მგზავრობა და იშვიათად თუ იტყოდა ხოლმე უარს „სეკას“ თამაშზე.

ერთ დღესაც მალხაზი ჩვეულებისამებრ, კარტით „შეიარაღებული“ ავიდა ვაგონში. ცოტა ხანში „სეკას“ თამაშის მსურველებიც გამოჩნდნენ და მალხაზმა, როგორც კარტის მფლობელმა და თამაშის ინიციატორმა, თავისი კარტი დაარჩია. სხედან ახლა მოთამაშეები და ყველას ხელში სამი ტუზი(!) უჭირავს (მოგესხენებათ, „სეკას“ ვისაც სამი ტუზი მიუვა, გამარჯვებულიც ის არის), ყველა უჩვეულოდ აფორიაქებულია. მალხაზმა დააგდო მაგიდაზე თავისი ცილინდრი და მოზრდილი თანხა ჩავიდა ფსონად. გასაოცარ აზარტში შესული სხვა მოთამაშეებიც არ ჩამორჩნენ, მთელი თავიანთი ფული ჩაუძახეს ცილინდრში და მოუთმენლად ელიან კარტის გახსნას. სწორედ ამ დროს, მატარებელი ერთ-ერთ სადგურზე გაჩერდა. მალხაზმა მომენტით ისარგებლა, სამი ტუზი გადმოშალა(!)... და სანამ გაოგნებული მოთამაშეები გონს მოვიდოდნენ, ფულით სავსე ცილინდრი თავზე ჩამოიფხატა და მატარებლიდან მოუსვა.

როდესაც მოთამაშეები გამოერკვნენ, გვიან იყო, მალხაზს უკვე თავი ფულით გამოტენილ ქუდში ჰქონდა.

P.S. მთავარი „კოზირი“ კი ის გახლდათ, რომ მალხაზმა წინასწარ იყიდა 6 წყვილი კარტი, ამოარჩია იქიდან მხოლოდ ტუზები და სწორედ ისინი ჩამოურთგა აზარტულ მოთამაშეებს, რომ მთელი ფული წაერთმია.

გ. ბუზარიაშვილი, საგარეო

2. ბლოხინი გაძევეთ!..

80-იან წლებში, ერთ გვიან შემოდგომაზე საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ ქუთაისის „ტორპედო“ და კიევის „დინამო“. თამაშის დაწყებამდე წამოთვა და შეხვედრა თოვლ-ჭყაპში კიეველთა სრული უპირატესობით წარიმართა. საკუთარი გუნდის უსუსურობით აღშფოთებულმა ქუთათურებმა ჯავრი მთავარ არბიტრზე (არც გვერდითები დავიწყებიათ) იყარეს და სველი გუნდები დაუშინეს. ერთ-ერთის ნასროლი ქვიანი გუნდა მხარზე მოხვდა მსაჯს, რომელმაც ლამის კისერი მოიმტვრია. ხულიგანი მაშინვე გაქაჩეს და ტრიბუნიდან გააძევეს. ახლა უფრო მეტად აღშფოთდა ერთი „სტაჟიანი“ გულმემატკივარი, გივი გ. და მილიციელებს მიაყვირა:



— რას შობით, თქვე ოჯახქორებო, მაგი კი არა, ბლოხინი გეიყვანეთ, ბლოხინი!

მართლაც საუკეთესო ფორმაში იყო უკრაინელი ფორვარდი.

ემზარ ფრუიძე, წვალტუბო

გაპოვლინა კურიოზების კონკურსის კიდევი საი გააკრავებელი

პირველი ადგილი და პრემია — 50 ლარი წილად ხვდა თბილისელ ვიტალი თვალაბიშვილს — კურიოზისთვის „სიტყვის კაცი“.

მეორე ადგილი და პრემია — 30 ლარი დაიმსახურა თბილისელმა იური ცუსტირიძემ ანექდოტით კახელ მითუაზე, რომელიც ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიო ჩემპიონატს უყურებს;

მესამე პრემია — 20 ლარი გადაეცემა თბილისელ ნუსა თოფჩიშვილს კურიოზისთვის „დავაბატიმროთ ეს ოხერი!“

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, 17 საათზე.

კურიოზების კონკურსი გრძელდება და მასში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია.

წარმატებებს გისურვებთ!

ყურადღება! კურიოზების კონკურსი

„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დაანება. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანექდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანექდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანექდოტმა თქვენი მონაწილეობის დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანექდოტის ნომერი _____

თქვენი სახელი, გვარი _____

კვირის პალიტრა №48

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანექდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 1 დეკემბრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 2 დეკემბრის 13 საათამდე.

3. „უვიცი“ პოლიციელები და „ხამრიანი“ პროკურორი



როგორც ხშირ შემთხვევაში, გამოძიებამ ახლაც უარი სტკიცა ადვოკატს შუამდგომლობის „უსაფუძვლობის გამო“. თუმცა ზედამხედველი პროკურორი (როგორც უბრალო მოკვდავი) ალაღად დაინტერესდა, მართლა ჩაეტეოდა თუ არა „მაკაროვი“ იაპონურ ტელევიზორში.

სასწრაფოდ მოწვეულ „შინაურულ“ თათბირზე პროკურორმა ბრძანა, გაესხნათ ტელევიზორი. მართლაც, გახსნეს და... გაოგნებისგან ხმა ვეღარ ამოიღეს! იაპონელების დამზადებულ ტელევიზორში ისე იყო ჩანაწობილ-ჩალაგებული ნაწილები, რომ „მაკაროვის“ კი არა, ნემსის ყუნწის ჩაგდებაც კი შეუძლებელი იყო. თუმცა სამართალდამცველების მიერ კანონის ყველა პუნქტის დაცვით შედგენილი ოქმი დამაჯერებლად ლაღადება: „შემოწმებისას, სანამ ტელევიზორს გახსნიდით და იარაღს ამოვიღებდით, ბატონი ავტორიტეტი საინფორმაციო პროგრამას უყურებდა“.

— თქვე შობელაღებო! — უღრიალა პროკურორმა მამაბარამის უცოდველი ბატონებით კუთხეში მიყუჟულ პოლიციელებს, — რაღა მინცდამინც იაპონელების გაკეთებულ ტელევიზორს ეცით, „მაკაროვის“ ამოღება მამაპაპური ბალიშიდან უფრო ადვილი არ იყო?!

გელა ჯინჭველაშვილი, ქუთაისი



4. ჭიჭიკია გამთენიისას ბრუნდება შინ ნასვამი. ნაზიკია კარს არ უღებს.

— გამიღე, ვარდები მოვიტანე ყველაზე ლამაზი ქალისთვის! — რიხინად ამბობს ჭიჭიკია.

ნაზიკია კარს აღებს და გაბადრული შეყურებს ქმარს:

— სადაა ვარდები?

— სადაა ყველაზე ლამაზი ქალი?..

„ქუთაისელი“



5. რაჭველი ჟორჯიკა

საფლავის ქვასთან დგას, თავში ხელს იცემს და განუწყვეტილად ერთსა და იმავეს იმეორებს:

— შენ არ უნდა მომკვდარიყავი, შენ არ უნდა მომკვდარიყავი!..

— ვინ განისვენებს აქ. მამაა თქვენი თუ მამა? — იკითხა გამველმა.

— არა, კაცო, აქ ჩემი ცოლის პირველი ქმარი მარხაა!..

გ. მ., მცხეთა



6. გოგონა ზღარბი დგას სარკესთან, თავზე ხელს იხვამს, ეკლებს ისწორებს და მღერის:

— ვარდზე მეტი ეკლები აქვთ ლამაზეულებს!..

ჯანსუღ ბოჭორიშვილი, ქუთაისი



7. ოსს მეტროში შესვლისას ჟეტონის ჩაგდება დაავიწყდა და ბარიერები მოხვდა ფეხებში.

გამწარბულმა ნამოძახა:

— ოი, გაგიხმეს ეგ ხელები!

ფ. რ., თბილისი

„არა იპარო!“ — თქვა უქალა...

ჩემი რესპონდენტი 45 წლისაა და აქედან 12 წელს სიცოცხლედ არ თვლის.

— 10 წლისას მამა ავარიში დაბეჭდა, — მიაბობს ბატონი ა., — დედა არ მუშაობდა და ძალიან გაგვიჭირდა. პირველად 14 წლისამ ვიქურდე. თვალი მოვაკარი, მუზობელმა სად შეინახა ფული და, როგორც კი დრო ვიხელთე, ორი ათმანეთიანი ამოვაცურე... არც უეჭვიათ ჩემზე... სკოლის დამთავრების აღსანიშნავ ბანკეტზე წასასვლელად არც ტანსაცმელი მქონდა, არც ფული... ისევ სამეზობლოში მოვიბარე 120 მანეთი. მაშინაც გადავრჩი...

— დედას არ უქვირდა?!
— დედა ადვილად მოვატყუე... მამაჩემის დალუპვას მავლს აბრალებდა... როცა ავარი მოხდა, ბიძაჩემი იჯდა საჭესთან... ჰოდა, არ ელაპარაკებოდა. რომ ვუთხარი, — ბიძაჩემმა მარტყა-მეტიქი, დაიფრია... მერე კი, უშვავი შემიჩნდა და... ერთხელ 5 წელი მომისაჯეს, მეორედ — 7 ძარცვა-ყაჩაღობისათვის... მეორედ რომ მოხვდით ციხეში, 27 წლის ვიყავი, საკმაოდ გაუფრთხილდი, არც ბილ-სიტყვაობას ვერიდებოდი, არც ჩხუბს... ავტორიტეტიც ასე თუ ისე მქონდა. ორჯერ მოახერხეს ჩემი დაჭერა, თორემ ავკაცობაზე რატომ 10-ჯერ და 20-ჯერ არ წავსულვარ.

...ციხიდან გამოსვლის წინ ერთი ქურდი გამენდო, — ამა და ამ ადგილს უძვირფასესი ხატები მაქვს გადაშალული და მირჩია, ვისთვის გადავხადო ნაპარაკი, რამდენს გადავიხდიდნენ — ჩემი ნილი რამდენი იქნებოდა და რამდენი კიდევ „ადვილზე“ მისატანი...

არ მეჩვენა ძნელ საქმედ ყოველ შემთხვევაში, მთავარი გაკეთებულ იყო — ხატებს მოპარვა აღარ სჭირდებოდა და აღარც ეძებდნენ, ქვეყნიდან დიდი ხნის განთავსებული ვიყავი...
34 წლისა გამოვედი ციხიდან. დედა ავთვისებიანი სიმსივნით დასვენდა და დაავადებული, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა და ამიტომაც უფრო ვიქურდე იმ ხატების გაყიდვა...

...ადვილად მივაგენი სამალავს. ხატებს რომ დაეხედე, მივხვდი — მართლა ძვირფასი იყო და იმაზე მეტი ღირდა, ვიდრე მითხრეს, მაგრამ რადგან ჩემი არ იყო, ვძლივ ცდუნებას და რასაც მთავაზობდნენ, იმაზე დავთანხმდი...

ხატები მანქანის სავარძლის ქვეშ ჩავალავ და ღამით ნაშოვივ თბილისში. მოძრაობა თითქმის არ იყო, არც ჩამძინებია, ამისათვის რომ დამეზარებინა — დროზე ვერ შევნიშნე-მეთქი. წინ მხვსავით უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი გადამიდგა. სახე მკვეთრად მოვატრიალე... ხევიმი გადავივარდი და ამის შემდეგ კინოში რომ მიხსახავს, სწორედ ისეთი უცნაურობა შემემთხვა — რაღაც ძალამ ჰაერში ამიტაცა და ზემოდან დაეყურებდი მინაზე გართხმულ საკუთარ სხეულს.

...მერე მანქანას 7 ნათლის სვეტი დაადა და ნელ-ნელა ადამიანის ფორ-



მა მიიღო. დავაკვირდი — მოპარულ ხატებზე ნახაჩი წმინდანები იყვნენ... ისე შემემჩნა, მოხლებზე დავდვიქი მათ წინ. უფალმა თავზე ხელი დამადო და მხოლოდ ეს ორი სიტყვა მითხრა — არა იპარო! მერე წმინდა ბარბარე პირველი გადამსახა — თუ ჩემს სახელში დამაბრუნებ, დედის სიცოცხლეს გაწუქებ. ღვთისმშობელმა კი თბილად მითხრა: — თუ ჩვენს ხმას შეისმენ, შენს მომავალ შვილებს შენი ცოდვის სიმძიმეს აფხსნიო...

დანარჩენმა ოთხმა პირველი გადასახა და ზეცად ამაღლდნენ, მე კი... გონს მოვედი და, საბედნიეროდ, ადგომამ შევეცილ...
მანქანის ხევიდან ამოყვანა შეუძლებელი იყო. ხატები ამოვიღე, ბი-

ჯავში გახვავი და რამდენიმე საათი ფეხით ვიარე. მერე ირიფრაჟა, მანქანებიც გამოჩნდა და ერთ-ერთს ქალაქში ჩამოყვავი.

ისე ვიყავი შეძრული, სიცოცხლის ფასადაც რომ დამჯდომოდა, ის ხატები ეკლესიისთვის უნდა დამებრუნებინა და ასეც მოვიქეცი... მერე მივედი მათ „პატრონთან“ ციხეში და გულახდილად ვუთხარი ყველაფერი, თან ვთხოვე — ცოტა ეცლია და სახლ-კარიც რომ გამეყიდა, მაინც დავებრუნებდი ვალს...

პირველი სასწაული მაშინ მოხდა. ის ქურდი ძალიან სასტიკი ვინე იყო და მეგონა, მომკლავდა, მაგრამ თვალზე ცრემლი მოადგა და მითხრა: — კარგა ხანია ვფიქრობდი, რომ სინანულის დრო მოახლოვდა და ამ შემთხვევამ დამარწმუნა, რომ უნდა „შეგწერდე“. მაღლობელი ვარ, ღმერთის გაყიდვის საშუალება რომ არ მომეცა, წადი და ჩათვალე, რომ აქეთა მაქვს შენი ვალი, დედაშენის ოპერაციის ფულსაც ჩემი ბიჭები მოგიტანნენ.

მეორე სასწაული დედაჩემის განკურნება იყო. უმძიმესი ოპერაცია გაუკეთდა 1993 წელს. უიმედო ავადმყოფმა მოიხედა, დღესაც ფეხზეა და მეტი რა დასტური გინდათ, რომ წმინდა ბარბარემ დანაპირები შემიხსრულა...

1996-ში დავქორწინდი. ორი ვაჟი შეგვეძინა. ბედნიერი ვარ, რომ ისინი არ ზღავენ ჩემი ავკაცობის გამო. მე ეკლესიაში მივედი, მოძღვარს ყველაფერი ვუამბე და შენდობა ვთხოვე. მე როგორ არ შეგინდო, როცა წმინდანებს უპატივითაა, — მითხრა. ახლა უამრავი უმუშევრად დარჩენილი ახალგაზრდა დგას ქურდობის ცდუნების წინაშე და იქნებ ჩემმა თავგადასავალმა გადაარჩინოს ცოდვის გზაზე დადგომას.

ინგა ჯაყელი

გუნების უცხოელები თუ მოკვლის ბავშვები?

მათ ინგლისელები უწოდებენ „ათასწლეულის ბავშვებს“, იპონელები და ჩინელები — „სინათლის ბავშვებს“, ხოლო ამერიკელები — „ინდიგო ბავშვებს“ — უჩვეულო ფერის აურის გამო. ეს აურა შეამჩნიეს ექსტრასენსმა ნენსი ენი ტეპმა. ინდიგო — ძალიან სუფთა ღია ცისფერი.

ინდიგო ბავშვები თანატოლებისგან ძალიან განსხვავდებიან უჩვეულო ნიჭიერებით, გამორჩეული, დამოუკიდებელი თვალთახედვით. თითოეული მათგანი ამქვეყნად მოდის საკუთარი გაცნობიერებული მისიით: — მისცენ ხალხს ახალი ცოდნა, ააშენონ სამყარო ახალი წესებით. ინდიგო ბავშვებს არაფერი აქვთ სალ-აპარაკო თანატოლებთან, შვიდი წლისანი უკვე დიდები არიან.

ისინი უნიკალურ შესაძლებლობებს სხვადასხვაგვარად ავლენენ, მათი მსგავსნი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს.

17 წლის მოღვაწევი ნახტუმა დემკინა 6 წლიდან რენტგენით ხედავს ადამიანებს, უსვამს დიაგნოზს, 8 წლის ბულგარელმა მარკო ბოქჩევიმ ახალგაზრდას გამოაქვეყნა დოკუმენტური რომანი, რომელშიც დაწვრილებით აღწერს მარსის დალუპვით ცივილიზაციას. 16 წლის ანაპელი ნატაშა უცებ 120 ენაზე ალაპარაკდა, მათ შორის, სპარსულად და ძველი ინგლისურად. ეს მოხდა ძლიერი გულყრის შემდეგ.

იაპონიის ნამყვან ავტომობილების დიზაინერულ ბიუროს უკვე ორი წელია 11 წლის იაკუბ ტანაკო ხელმძღვანელობს...

ინდიგო ბავშვები თანდათან იწყებენ მსოფლიოს მართვას...

ამერიკელი ფსიქოლოგი ჯენ თოუბერი დარწმუნებულია, რომ ინდიგო ბავშვები მსოფლიოს მნიშვნელოვან ენერჯის აძლევენ და ყოველი მათგანის მისია განსაზღვრულ ასაკში გამოვლინდება. ამერიკელი მეცნიერების ჯგუფმა სხვადასხვა ქვეყნის 26 ბავშვი გამოიკვლია — ისინი უნიკალურ ინტელექტს ფლობენ. იოლად ხსნიან ურთულეს ამოცანებს და ჩიხში აქცევენ აკადემიკოსებსაც კი. ინგლისელმა მეკვლევარმა ჯემის ტვიმანმა აღმოაჩინა მექანიზმი, რომლითაც ეს ბავშვები აღწევენ ადამიანებზე უზარადად — ენერჯეტიკული ესტეის წყალობით მათ შეუძლიათ თავიანთი აზრები და ცოდნა შთაგონონ პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, მხატვრებს და ამ გზით გარდაქმნან მსოფლიო. ტვიმანი ერთი იმ უფროსთაგანია, ვისაც ინდიგომ ანდო თავისი გზავნილი. მას გონებაში გამუდმებით ესმის დედამისის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ინდიგო ბავშვების ხმები. ისინი ინტერნეტში ათავსებენ წერილებს, რომელსაც ასე ანერენ ხელს — „ახალი მსოფლიოს ემისარი“.

მეგობრების-ექსპრესი № 46

განსაკუთრებული ავსაბო მისია? საკუთარ თავს?

იქნებ ძალიან მკაცრად ან პირობით — აშკარა გეგმობისა კი ვერ ამჩნევთ. ტესტი გირჩევნებთ, რას იტყობთ საკუთარ პერსონალზე.

1. მეგობრის დაბადების დღეზე შეამჩნიე, რომ ამდენი ხალხის სმაური გღვინს. როგორ მომიტყვი?
ა) ვცდილობ, არაფერი შევიმჩინო;
ბ) ბოდვის ვიხდი და შინ მივდივარ;
გ) 15 წუთით განვმარტოვდები და დავისვენებ.

2. მიიმე დღის შემდეგ პარტნიორი უგუნებოდ გხვდება შინ.
ა) ვურეკავ მეგობარს და თანაგრძობას ვთხოვ;
ბ) შევეცდები, გავამხნევო;
გ) ვაგრძობინებ, რომ მისმა ქვევამ იმედი გამიცრუა.

3. უმცროს დას დაპირადი, რომ სასკოლო საღამოსთვის ტორტს გამოუტანო, მაგრამ ვერ მოიტანა.
ა) ვუყვიდი მზა ტორტს;
ბ) ვურეკავ დის მასწავლებელს და ვუბნებ, რომ სხვას დაავალოს ტორტის მოტანა;
გ) გვიან ღამით გამოვაცხოვრო.

6-9 ქულა: — კარგი გუნება-განწყობა შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. გახსნოვდეს, ზოგჯერ პირადი საქმეებიც უნდა გადაადო ძვირფასი ადამიანისათვის.

	1	2	3	4	5	6
ა	3	1	2	3	2	1
ბ	1	2	1	2	3	3
გ	2	3	3	1	1	2

10-14 ქულა: — კარგად იცი საკუთარი მოთხოვნილებები და გრძობ, როდის უნდა დაუთმო საკუთარ თავს დრო. არც ახლობლების პრობლემებია შენთვის შეუმჩნეველი.
15-18 ქულა: — რატომ აფასებ ასე მკაცრად საკუთარ თავს? იცოდე, მხოლოდ ისაა მხიარული და წარმატებული, ვისაც აქვს საკუთარი ინტერესები. მაშინ კი, როცა აპატიებ საკუთარ თავს, სწავლობ სხვა ადამიანებთან ურთიერთობას, მათ გაგებას.

4. რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სეროზული გამოცდის წინ?
ა) მეგობრების მხარდაჭერა და დამუშავებული გეგმა;
ბ) რკინის დისციპლინა;
გ) დიდი ყურადღებით თემის გამეორება.

5. აპირებ აბაზანის მიღებას, მაგრამ გირჩევენ დედა და გთხოვს მიხედვე და დაეხმარო ქვითრის შევსებაში.
ა) ვცვლი ჩემს გეგმებს;
ბ) უარს ვუბნები რაიმე მიზეზით;
გ) ვთხოვ, დაიცადოს მეორე დღემდე.

6. რა გეპართება სტრესულ სიტუაციებში:
ა) მეტისმეტად ვსუქვები, რადგან ბევრ ტკბილეს მივირთმევ;
ბ) ვცდილობ, დღეში ერთხელ მაინც რაიმე გემრიელი ნუგბარით გავინებოვრო თავი;
გ) საერთოდ მივიწყებუა ჭამა.

ცხრილის გამოყენებით დაითვალეთ ქულები

სისოხსლე გრძელდება...

ერთი წლის შეუღლებული ვიყავით, მეუღლე მოულოდნელად გულის შეტევით რომ გარდაეცვალა მოსკოვში და ორი დღის შემდეგ თბილისში ჩამოსაყვებს. ოჯახში დარდმა დაისადგურა...

პანაშვიდი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ოთახში შემოიჭრა ჩემი მეგობარი ქეთი და ჩემს დედამთილს მიმართა: — ცირა დედა, თქვენს ვაჟს სწყურიაო... ცირამ გაოცებისგან ტირილიც კი შეწყვიტა, — საიდან იცი, შვილო, — ესლა ჰკითხა. ნუხელ მეხიზმრა, წყაროსთან ვიდექით, ჭიჭა გამოიწინოდა და მითხრა, — ქეთევან, შენ მაინც დამალევი წყალი, ხომ ხედავ, სიარული არ შემძლიაო. ატყდა ჩოჩოლი — ნეტავ რას უნდა ნიშნავდესო. გაიხედა ცირამ შვილის სასთუმლისკენ და რას ხედავს, — სანთელიც ანთია, ყველაფერი, წესისა და რიგისამებრ, თავითი უდაგას... წყლით სავსე სასმისის გარდა! დამვიწყებია მე უბედურსო, — შეიცხადა და ქეთის სთხოვა, — რაკილა შენი ხელიდან უნდოდა წყლის დაღვება, ჭიჭა აავსე და თავითი დაუდგო... შეუსრულა ქეთიმ თხოვნა და ჩოჩოლიც შეწყდა. თუმცა, მეზობლები დროდადრო რაღაცას გაოცებით გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს...

გავიდა 40 დღე ოჯახის წევრები, რა თქმა უნდა, დათალესლები დავდიოდით და არც ტკივილი გაგწვლავდა. დედამთილი თავიდან არ იშორებდა შავ მანდილს და ღამდამობით ჩუმიად ტიროდა ხოლმე. ერთ ღამეს ჩემი მეუღლე მეხიზმრა. მითხრა, — დედას სთხოვე, ადენს ნუ ტირის, თორემ მუხლებამდე წყალში ვდაგვარ და ის შავი მანდილიც მოიშოროს, სიბნელეში გამანაზა. ორი წლის წინ მოსკოვიდან თეთროკოპლებიანი შავი თავშალი ჩამოვუტანე და ის მაინც მოიხიროსო... დილითვე გადავეცი დედას შვილის დანაბარები, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მართლა ჰქონდა ის თეთროკოპლებიანი თავშალი, რადგან თვალთ არასოდეს მენახა. კიდევ უფრო ცხარე ცრემლით ატირდა, — მართალი უთქვამს, შვილო, ნამდვილად ჩამომიტანა ასეთი თავსაფარი და შავი მანდილი მოიხსნა...

სამი წელი გავიდა მას შემდეგ და ქმარი ერთხელაც არ დამიხმრებია. კუშმანს ვერ გაულო დედამ

და ისიც სამარადისო სასუფეველში გადასახლდა.

სულ მარტო დავრჩი. ერთმანეთს მიეწყო უფერული და უღიმღამო დღეები. დავდიოდი სამსახურში, შინ ვფუსფუსებდი და საღამომობით, იშვიათად, კარის მეზობელთან საუბრით თუ შევიქცევიდი თავს. დედა-შვილის საფლავზე ხშირად დავდიოდი და მიცვალებულთა სულის მოსახსენებელ დღეებშიც საკადრის პატივს მივადგებდი ხოლმე...
გავიდა კიდევ ერთი წელი. სამსახურში ახალი თანამშრომელი მიიღეს — ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი, რომელმაც მოსვლის დღიდანვე ყურადღება მომაქცია. ჯერ კიდევ ძაბებს ვატარებდი. ვიუჟადრისე და აღარც ვესალმებოდი. მაგრამ ყოველ დღე, სამუშაო მაგიდაზე მაინც მხვდებოდა მინდვრის ყვავილების პანა თაიგული. ორი კვირის თავზე მეუღლე მეხიზმრა. ჩემო ნინო, — მითხრა ალერსით, — ვიცი, რომ უწინდებურად გიყვარვარ, მაგრამ ჩემი შეხედრვა ჯერ ნაადრევია, სიცოცხლე კი გრძელდება... იმ ბიჭს ანდვილად წრფელი გრძობები ამომრავებს. ხელს ნუ ჰკრავ, ცოლად გაჰყვივ და თუ ვაჟი შეგეცინათ, ჩემი სახელი დაარქვიო...
შეიძლება ვინმემ გაგიკლოს, მაგრამ ასეც მოვიქეცი. ვაჟა კარგი ქმარი და მზრუნველი მამაა. ორი ვაჟი შეგეყვინა და პირველს გარდაცვლილი ქმრის სახელი დავარქვი...

მას შემდეგ უფრო ხშირად მეხიზმრება ხოლმე — განსაკუთრებით მაშინ, როცა რაიმე მიჭირს — მამხნევებს, მანუგეშებს და რჩევასაც მაძლევს. ერთადერთი, რასაც მხოლოდ, ისაა, რომ მის საფლავთან დარგულ ეკვალიტებს გახმობის საშუალება არ მივეცი...
ნინო მ. თბილისი

„საბალო-სალო“ გვერდის

I. მსხალი.
II. მე-3 და მე-9 კატები.
III. აბა, გამოიცანთ:
1) — ბ); 2) — დ); 3) — გ); 4) — დ); 5) — ბ); 6) — ა).

საქართველოში ფული სწრაფად ზიანდება

ძველი 50 და 100-ლარიანი ბანკნოტები 1-ელ ივლისამდე დარჩება მიმოქცევაში

ახალი მოდიფიკაციის 50 და 100 ლარის ლირებულების ბანკნოტები მიმოქცევაში ამა წლის 9 ნოემბერს შევიდა. ეროვნული ბანკის განმარტებით, მოდიფიცირებული ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვება მიზნად ისახავს უკვე არსებული ფულის ნიშნების ისეთი ბანკნოტებით შეცვლას, რომელთა ხარისხი და დამცავი მქანობებში შეტანილი ცვლილებები ხელს შეუწყობს ქვეყანაში ყალბი ფულის გავრცელების შემცირებასა და მიმოქცევაში მათი ყოფნის ხანგრძლივობის გაზრდას. 1995 და 1999 წლების გამოშვების 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები 2005 წლის 1-ელ ივლისამდე

100-ლარიანი კუპონები და ზუსტად იმავე რაოდენობის, ოღონდ მოდიფიცირებული, 50 და 100-ლარიანი გადის. ძველი კუპონები ძალაში დარჩება 2005 წლის 1-ელ ივლისამდე, ხოლო შემდეგ, თუკი ვინმეს შემორჩება აღნიშნული ბანკნოტები, შეიძლება მათი გამოცვლა ეროვნულ ბანკში.

— ახალი ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვება მხოლოდ და მხოლოდ გაყალბებისაგან დაცვის მექანიზმის გასაუმჯობესებლად გადაწყდა?

— ჩვენი მიზანია, მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება ამა თუ იმ კუპონზე და ასევე, მისი



ფულის ახალი ნიშნები



დარჩება მიმოქცევაში და ახალი მოდიფიკაციის ფულის ნიშნების მსგავსად გადახდის საშუალება იქნება. 1-ელი ივლისის შემდეგ ძველი ბანკნოტების გამოცვლა შესაძლებელი იქნება ეროვნულ ბანკში.

ზაზა ბარჩილაძე, ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:

— 50 და 100-ლარიანი ბანკნოტების დიზაინში დაიხვეწა შრიფტი, მხატვრული გამოსახულებები, ორნამენტული ბადეები და ფონები, ფერები უფრო ინტენსიური გახდა, შეიცვალა გამოშვების თარიღი და ფინანსთა მინისტრის ხელმოწერა. ფულის მიმოქცევის თავისებურებისა და ძველი ბანკნოტების ბრუნვის პროცესში დაფიქსირებული ხარვეზების გათვალისწინებით, ლარის ახალი ბანკნოტები დამზადდა გაცილებით მაღალი სიმკვრივისა და ხარისხის ქაღალდზე, დაიფარა დამბინძურების ხანინალმდეგო, გამჭვირვალე, მიკროსკოპული სისქის ლაქით, რომელიც ამაღლებს ბანკნოტის ხარისხს და მნიშვნელოვნად ზრდის მიმოქცევაში მისი ბრუნვის ხანგრძლივობას.

— ვიდრე არ არის ბრუნვიდან ამოღებული ძველი 50 და 100-ლარიანი ბანკნოტები, შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ მოდიფიცირებული ბანკნოტების სახით მიმოქცევაში დამატებითი ფულადი მასა შემოვიდა?

— მინდა დავაფიქსირო, რომ მიმოქცევაში ახალი ბანკნოტების გაშვება არ არის უმისია, ანუ დამატებითი ფულადი მასის მიმოქცევაში შესვლა. ფულის გამოცვლის პროცედურა მთელი მსოფლიოსთვის სტანდარტულია: ეროვნულ ბანკში შემოდის ბრუნვიდან ამოღებული ძველი მოდიფიკაციის 50 და

დაცვა ყალბი ფულისაგან. საქართველოში ნაღდი ფულის მოძრაობის სიჩქარე, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საკმაოდ მაღალია, რადგან ჩვენთან ნაკლებპოპულარულია უნაღდო ანგარიშსწორება. აქედან გამომდინარე, ჩვენთან ბანკნოტი უფრო სწრაფად ზიანდება. თუ გაინდობა მოთხოვნა სხვა ნომინალზეც, ეროვნული ბანკი მის მოდიფიკაციასაც მოახდენს.

— გაყალბებისგან დაცვის რა საშუალებებია გამოყენებული ახალი ბანკნოტების შექმნისას?

— უპირველესად, ეს არის პოლიგრაფია, რომელიც შეიცავს გაყალბებისგან დაცვის საიმედო მექანიზმს: აქვს მეტალის მგზინვარე ეფექტი, ახასიათებს ფერთა ცვალებადობა, დატანებული გამოსახულების სივრცითი აღქმა და საუკეთესო დამცველია კომპიუტერული გაყალბებისგან. აღნიშვნის ღირსია ოპტიკურად ცვალებადი მელანი — საღებავის უნიკალური მახასიათებელი, რომელსაც აქვს ფერების ცვალებადობის ეფექტი და ყალბის მქანელებისთვის მნიშვნელოვანი ბარიერია. ბანკნოტის უკანა მხარეს, ქაღალდის ზედაპირზე დატანილია ირისისებრი ზოლი, გამჭვირვალე, სადაფისებრი ეფექტით და წარწერით. გარდა ამისა, ფულის გაყალბებისგან დაცვის მექანიზმი გაუმჯობესდა საბანკო და ნაღდ ფულთან მომუშავე სპეციალისტებისთვისაც. მერნმუნეთ, უახლესი ფერადი კომპიუტერული მონოპოლიტების, პრინტერებისა და პერსონალური კომპიუტერების გამოყენებითაც კი შეუძლებელია ისეთი დამცავი ნიშნების გაყალბება, როგორც არის ინფრანითელი ნათება და მაგნიტური ნუმერაცია.

ემ ტუზიაშვილი

პანის გათხრები გრძელდება

აღმოჩენილია უნიკალური ნივთები

108 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი სამარხი გაითხარა ვანში. მაშინ არქეოლოგიურ ექსპედიციას თვით უკეთესი თაყაიშობი ხელმძღვანელობდა მას შემდეგ ვანში გათხრები სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა. 1966 წლის შემდეგ კი მუშაობა აღარ შეწყვეტილა. წლებმდე წელი განსაკუთრებით ილბიანი გამოდგა არქეოლოგიური ექსპედიციისთვის, რომელსაც ისტორიულ მუცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დარეჯან კაჭარავა ხელმძღვანელობდა. გაისნა უმდიდრესი სამარხი, სადაც აღმოჩენილია ბევრი უნიკალური ნივთი, ოქროს სამკაული. „კვირის პალიტრის“ მკითხველს შესაძლებლობა ექვება, ნახოს ახლანდელი აღმოჩენილი ნივთების რამდენიმე ფოტო და გაიგოს, თუ რა შეემატა ჩვენი ქვეყნის საგანძურს.



უნიკალური ოქროს თავსარკმელი

გვესაუბრება ქალბატონი **დარეჯან კაჭარავა**:

— აღმოვაჩინეთ კლდეში ჩაჭრილი ორმო, რომელშიც სავარაუდოდ, ხის



ძვ.წ. IV ს-ის სამკაულები სამარხში

სარკოვანი უნდა ყოფილიყო. ამას ნაშენი რკინის ლურსმნები მიგვანიშნებს. ბუნებრივია, ხე არ შემორჩენილა. სამარხი ყორღანისებრი იყო, ზემოდან რიყის ქვების გროვა ეყარა. მის სამხრეთით ადამიანი დაკრძალული, რომლის მხოლოდ კბილები და ჩატანებული საყოფაცხოვრებო ინვენტარია შემორჩენილი. მიცვალებულს ძვირფასი თავსარკმელი ჰქონია, რომელიც 7 მ სიგრძის იოტებით (წერილი მიიღებოდა) ყოფილა მორთული. ასევე ჩატანებული ჰქონდა საღვინე ჭურჭელი — ამფორები, ბრინჯაოს დოქი ნისკარტისებრი პირით, ვრცელის ჩაშა, რომლის ტარი წრით ბოლოვდება და მასზე გამოსახულია ორი ვრძი, ასევე ვრცელის ფილა ჩიტების ორნამენტებით. ნაშენია ნითელფიგურული ატიკური სკიფოსი (ღვინის სასმელი ჭურჭელი). ის ჩვ. წ. აღ-მდე V საუკუნის მეოთხედით უნდა თარიღდებოდეს. ამავე სამარხში აღმოვაჩინეთ ბრინჯაოს სარკე, დიდი ბრინჯაოს ლანგარი, ვრცელის სარწყავი ლომების ფიგურებით და ვრცელის უნიკალური სარტყელი.



ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი?

— ერთ-ერთი თავსარკმელი, რომლის მსგავსი კოლხურ ოქრომჭედლობაში არც გვეხვება, თუმცა, მასზეც კოლხური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი შვლები და ჩიტები გამოსახული. ამ სამკაულს თან ახლდა გრძელი ქსოვილი, რომელზეც ოქროს მილაკები იყო დამაგრებული. ქსოვილს ოქროს პირამიდებიც ამშვენებდა, მძივებიანი ქვეკვებით. მეორე ულამაზესი ნივთი კი ოქროს გულ-

საბნევია, ჩიტებით შემკული. ვიპოვეთ ოქროს ბუდეებში ჩასმული თვალადი მძივები. ასეთი მძივები (სავარაუდოდ, ავგაროზებისა), აქამდე არსად აღმოჩენილა...

— ვანში გათხრები კარგა ხანი მიმდინარეობს, დაამუშვეთ თუ არა მთელი ტერიტორია?

— არა, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასათხრელი. გრანტის წყალობით ვაბერებთ მუშაობას. ახლა კერძო ნაკვეთებს ვთხრით.


— წლებმდე „უჭი მოსავლი“ კერძო ნაკვეთში იღებო?

— დიახ, იქ თავის დროზე ასევე იგეგმება ვანის იყო. ვმუშაობდით სხვა ნაკვეთებზეც.

— იქაც აღმოაჩინეთ რამე?

— რა თქმა უნდა! ვთხრით II-I საუკუნის სამოცველოს. იქვე აღმოვაჩინეთ ელინისტური ხანის ნაგებობა და ერთიც, ჯერჯერობით უცნობი ნაგებობა, რომელთანაც ნატურალური ზომის ბრინჯაოს გველისა და ბრინჯაოს ადამიანის ფიგურის ქუსლი ვიპოვეთ. კარგი ნახვალეი ჩანს. ერთ-ერთ ნაკვეთში კი უკვე გაძარცვული სამარხი გაუსწვნი, სადაც მხოლოდ ორიოდ ოქროს ნივთი აღმოჩნდა. გათხარეთ ქალაქის დამცავი კედელიც. მუშაობას ვაგრძელებთ და იმედია, ისევ გვეჩვენება საინტერესო აღმოჩენები.

ლელა ჯიგაშვილი



ქვირის პალიცა — 2005 წლის პერიოდული საკლასიკო

...როცა უეხლოვებო ყველა სწავლოს

...მ-იან წლებში, თბილისის „დინამოს“ ზეობის პერიოდში, ჩვენთვის უხერხული მეტოქე არ არსებობდა. თანაც, ნოდარ ასალაძის იდეებით დამოძღვრული ქართველი ფეხბურთელები ევროპული მასშტაბებითაც ვარსკვლავებად ითვლებოდნენ. სამწუხაროდ, დღევანდელი ალექსანდრე ჩივაძის, ვლადიმერ გუცაევის, ვიტალი დარასელიასა და რამაზ შენგელიას მართლაც ზღაპრული თაობის წახვლის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე ებიზოდური წარმატებებიც კი სანატრელი გაგვიხდა. კი, იყო იშვიათი გამოწვევებიც, ერთხელ კინალამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდით (1998 წელს), მაგრამ ფეხბურთში „კინალამ“ არ ითვლება მოკლე, ბევრი რომ არ გაეგრძელოთ, ქართული საკლუბო გუნდები ევროტურნირებზე ოლიმპიური პრინციპით („მოთავრია მონაწილეობა და არა გამარჯვება“) თუ ხელმძღვანელებდნენ. ანუ, ბოლო ათი წელიწადი უკვე მიწვეული ვიყავით, რომ ევროტურნირები ქართული კლუბებისათვის პირველივე წრეში სრულდებოდა.



დრა შესაძლებლობის მაქსიმუმზე მეტი გახლდათ. ის, რაც გვეყო „სლავიანთან“ თუ „ვისლასთან“, აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა „სლოვანთან“, „ნიუკასლთან“ და „სპორტივგთან“ პატივითაა. ერთიც არის — იყო კი „დინამოს“ ხელმძღვანელობა საამისოდ მზად? არც იყვნენ და არც დაუმალავთ კიდევ, თორემ არ იტყობა გვეყვარება ჯერ კიდევ „ნიუკასლთან“ მატჩის წინ, რომ „დინამოს“ საკადრო პოლიტიკაში ჩემი წილი შეუცდომელი დაუვყო. დიხს, ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციის გამო თითქმის ყოველ მატჩში „დინამოს“ სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა და მოკლე „სათადარიგოთა სკამზე“ თავისი წილი გავლენა იქონია კიდევ შედეგზე. ისე, რასან ამ საკითხს შევეხეთ, უპრინციპო, ის ფეხბურთელებიც გაგვხსენებინა, რომლებიც ჯერ კიდევ ერთი წლის წინ „დინამოს“ წამყვანი მოთამაშეებად ითვლებოდნენ, მაგრამ მიზეზთა გამო გუნდის დატოვება მოუწიათ. დღესაც თვლის ბევრი, რომ გოგობერიშვილი, ბუდუღული, იაშვილი და გვარამაძე დიდ დახმარებას გაუწევდნენ „დინამოს“ ასეთი საკადრო დეფიციტის დროს. თუმცა, ყოველივე ეს მწვრთნელის პერეგრატივა და მის კომპეტენციაში ჩარევას ნამდვილად არ ვაპირებთ. უფრო ზუსტად, როგორც ნესი, საბოლოო შედეგმა უნდა დაგვანახოს მწვრთნელის ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება სწორი იყო თუ პირიქით...

დაუბრუნდეთ ისევ ჯგუფურ ეტაპს, სადაც „დინამოს“ სამივე მხედრად ნაგაო, თანაც ისე, რომ მეტოქის კარში ბურთი არ გაგვიტანია და აქედან რა მივიღებთ! თუმცა, მეტოქეებსაც ხომ გააჩნიათ — „სლო“ საფრანგეთის ჩემპიონატის სამეფლოშია და მედლები საათის იბრძვის. „ნიუკასლსა“ და „სპორტივგს“ ძალა და გამოცდილება ხომ ზედმეტია საუბარო. არაუფრო მოუთხოვია „დინამოსს“ — არიქ, ეს ევროპული გრანდები აუცილებლად უნდა დაამარცხოთო, თუმცა, იმავე „სპორტივგთან“ დიდი ანგარიშით (0:4) მარცხი მაინც ნამეტანავად აღიქვა ქართველმა გულშემატკივარმა, რომელთა დიდ ნაწილს ჩვენს კარში გატანილი ბურთი გოლიც არ უნახავს. მიზეზი კი მარტივია — ქომავთა უმრავლესობამ ნადრევედ დატოვა „ლოკო-მოტივის“ ტრინეტები... დღევანდელ „დინამოსს“ და იმავე „სპორტივგს“ შორის ძალიან დიდი განსხვავება და გულახდილად რომ ვთქვათ, პორ-

ტუგალიელებთან ხუთშაბათის მატჩში ფრე რომ გვეთამაშა, უთუოდ სენსაცია იქნებოდა. ყოზე პემირუს ტაქტიკურად ჩინებულად განსწავლულმა გუნდმა თამაშის ყველა კომპონენტში დაჯაბნა ექსპერიმენტული შემადგენლობით მოასპარევე მასპინძლები. აღარაფერს ვამბობთ სტუმართა ტექნიკურ არსენალზე — „სპორტივგს“ მოთამაშეთა ლამის ნახევარს ხომ ბრაზილიელები წარმოადგენდნენ. „დინამოს“ წინააღმდეგ თამაშობდა გუნდი, დაკომპლექტებული ერთობ გამოცდილი და ცნობილი ფეხბურთელებით, გუნდი, რომელიც სამი ქულის მოსაპოვებლად ჩამოვიდა თბილისში და სანადგლსაც უპრობლემოდ მიიღწია. კანკა-დეალი-მასარა-ქუცურუათი „სპორტივგს“ რომ ვერ მოუვებდით, ცხადზე ცხადი გახლდათ. მაგრამ „დინამოს“ დაცვა იმდენი უხეში და უბატონი შეცდომა დაუშვა, კიდევ კარგად გადავირით. სხვათა შორის, პორტუგალიელთა თავაყმა ყოზე პემირუმ ხაზი გაუსვა, რომ პირველი ორი გოლი საჩუქრად მივიღეთო. თუმცა, მცველების შეცდომების გარდა „დინამოს“ თამაშში ბევრი სხვა ნუნიც შეიმჩნეოდა — ნახევარდაცვა, ფაქტობრივად „მონყვეტილი“ იყო (როგორც დაგვაკადმა გიორგი ნემსაძის გამოცდილებამ), თითქმის მთელი პირველი ტაიმი უპოქმედოდ იყვნენ ფორვარდებიც. საერთოდაც, მთელ გუნდში ერთადერთი ფეხბურთელი კვირკველია გახლდათ, ვის მიმართაც საპრეტენზიო არაფერს უნდა ჰქონოდა. სწორედ კვირკველია აქტიურობას მოჰყვა კიდევ მეორე ტაიმის დასაწყისში ის ათნუთიანი მონაკვეთი, როცა „დინამოს“ ტემპს მოუმატა და პორტუგალიის ეროვნული ნაკრების დარაჯის, რიკარდუს კართან ზედიზედ რამდენიმე ხიფათი შეეცქერით. ამ დროისათვის 0:2-ს გავგებდით და ჯერ კიდევ იყო მატჩის „შემობრუნების“ შანსი, ტრიბუნებიც გამოცოცხლდნენ, მაგრამ ანგარიშის შემცირების ნაცვლად აქედან მივიღეთ გოლი. თანაც კვლავაც ჩვენი მცველების უხეში და უბატონი შეცდომები გამო. აი, თამაში კი აქ მორჩა — მოსახდენი უკვე მომხდარი იყო — „დინამოს“ ჯგუფურ ეტაპზე წარმატების მიღწევის შანსი ნამდვილად არ ჰქონდა. მიუხედავად სამივე მატჩში განცდილი მარცხისა და ბურთების ასეთი კატასტროფული სხვაობისა, მაინც არ გვიბრუნდება ენა დინამოელთა გასაკრიტიკებლად. დარჩენილი ტრავარტული გამოთქამა, თუკინდ, ათასგზის ნათქვამი, მაგრამ ფაქტი ერთია — ჯგუფურ ეტაპზე მოხედრით უდიდესი გამოცდილება მიიღეს ასალაძემ და დინამოელებმა და სხვათა შორის, არა მარტო ფეხბურთელებმა — გუნდისა და კლუბის ხელმძღვანელებისთვისაც არანაკლები სკოლა გახლდათ ასეთ დონეზე ასპარეზობა. პოდა, შეცდომებზე სწავლობენო და იმედოვნებოთ, რომ მომავალ წელს უკვე სხვა მიზეზით შეგვხვდებით ევროტურნირებს. ამ „დინამოს“ კი მომავალი ნამდვილად აქვს.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ იტალიის ვარსკვლავებით სავსე „საგარეჯოს“ „ბერმენი“ ჯარჯი ზვიადური შეუერთდება და შესაძლოა, უახლოეს მომავალში, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიადის პრიზიორი — ებრაელი არიელ ზევიცი შეემატოს. „საგარეჯოს“ უკვე უფროსიან საკლუბო ძოუდოს „ბობოლა“ წარმომადგენლები და მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, ასეთი შემადგენლობით, ჩვენებურებს ვინმემ წაგვაროს ჩემპიონობა. „საგარეჯოს“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, მაიორიტარ დეპუტატს — **გია ნაცვლიშვილს** სჯერა, რომ მის წამოწყებას მიმდევრები გამოუჩნდებიან და კლუბებს საქართველოს სხვა რაიონებშიც დააფუძნებენ...

— კლუბის დაფუძნება ყოველთვის მსურდა, მაგრამ ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა მეტი სტიმი გააძლიერა. — **კლუბში თქვენთვის სასურველ ყველა ძოუდოსტს მოუვარეთ თავი?** — ნესტორ ხერგიანი და ივრი ჯეჭურაული თურქული კლუბის სახელით გამოდიოდნენ, ზურაბ ზვიადური გერმანიაში ქიდაობდა. მათ ყველა იურიდიული საკითხი მოაგვარეს და ახლა კონტრაქტი „საგარეჯოსთან“ აკავშირებთ. ქართული ძოუდოსტების გარდა, ებრაელი არიელ ზევიცი მოვიწვიეთ. მიუხედავად იმისა, რომ 100 კგ წონით კატეგორიაში საკმარის ძლიერი მოჭიდავეები გვყავს, შესაძლოა, სამივე კვირაში ზევიცაც გა-

ვუფროსი ხელშეკრულება და კიდევ უფრო გაეძლიერდეთ. — **რატომ მიანდებინებ „საგარეჯო“?** — ჯერ ერთი, წარმოშობით ამ რაიონიდან ვარ. საგარეჯოში არაერთი ძლიერი მოჭიდავე აღზარდა და ამას გარდა, ერთგვარად სტიმულის მიმცემი პრეცედენტი მსურდა შექმნა. ხოლო თუ „საგარეჯოს“ მსგავსად დაფუძნდება „ახმეტა“, „გორი“ და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, მსოფლიო ჩემპიონ არ შეიკრიბებიან უძლიერესი ფალანგები და კონკურენცია ქვეყნის შგინთაც იქნება. ჩვენ გვერით გვიდგანან მსხვილი ქართული კომპანიები, რომლებიც „საგარეჯოს“ მზრუნველთა საჭკოში შედიან. იმ 70 ტატამიდან, რომელიც პრეზიდენტის ფონდმა შეიძინა ქართველი სპორტსმენებისათვის, 5 უკვე ჩატანია საგარეჯოში და არაერთი სპორტული დარბაზიც გარემონტდა.

„საგარეჯოს“ მთელი მსოფლიო



რა გაუძლებს ერთბაშად ორ მგიადაურს?

იხნოს და უკითხის



— ასე რომ, ფინანსურ პრობლემებს არ უწიეთ... — ერთი რამ შემიძლია გითხრა, რომ იგივე ჯარჯი და ზურაბი არანაკლებ თანხას მიიღებენ, რამდენსაც ძველ კლუბებში უხდიდნენ და შესაძლოა, მეტსაც, რადგან ხელფასის გარდა, სუფთა გამარჯვებისათვის დაწესებული პრემია ჩვენთან უფრო მაღალია და შესაბამისად, აქტიური ჭიდაობისათვის მეტ სტიმულს ვაძლევთ... — **ზევიცის გარდა, სხვა უცხოელების მიწვევას ხომ არ გეგმავთ?** — ზურგიანი, მარგოშვილი, ქეხიშვილი, ჯარჯი და ზურაბ ზვიადურები, ზევიცი, დავითიშვილი, სანჯალიაშვილი, რომელიც თანდათან შედის ფორმაში და გუგუჯიანი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის... ასეთი შემადგენლობა, არა მგონია, რომელიმე კლუბს შეეძლოს. — **კონკურენტებს უკვე გვარაანად დაუფრთხობდით ძილს...** — ძიუდოს ევროპის ფედერაციაში „საგარეჯოს“ დაფუძნებამ საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია. მსოფლიოში კარგად იცან ქართული ძიუდოს ტრადიციები და პოტენციალი და მათ ის უფრო უკვირდათ, აქამდე რომ არ გვეყავა კლუბი. განაცხადი უკვე შეიტანეთ მომავალ თამაშებში მონაწილეობისათვის, კენჭისყრა იანვარში გაიმართება და ამის შემდეგ, დეტალურად გვეცოდინება, სად და ვის წინააღმდეგ მოგვიწევს ასპარეზობა, უდიდესი სურვილი გვაქვს პირველ, ჯგუფურ ეტაპს საქართველოში უუზამსინდლოთ. თუ ასე მოხდა, ძალზე საინტერესო შოუს მოვანყობთ...

— **ცალკეულ წონით კატეგორიებში კონკურენტის საქმე როგორ იქნება?** — თითოეულ წონაში სულ მცირე ორი მოჭიდავე გვყავს. 100კგ-ში, თუ ზევიცი ჩამოვიდა, ოთხი ძიუდოსტი გვეყოლება. ოლიმპიური ჩემპიონობა ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს, გარანტირებული არაფერს ეწევა პირველობა და იქიდავებს ის, ვინც იმ მომენტისათვის უკეთ იქნება მზად. — **უძლიერესი მოჭიდავეებით დაკომპლექტებულ გუნდს მიზანიც შესაბამისი ექნება...** — პირველივე წელს ჩემპიონთა თასის მოპოვება გვსურს კლუბებს შორის. ასეთი სპორტსმენების „პატრონი“ გუნდს სხვა მიზანი არც აქვს.

ფირმა „ბილი“ მთავარობა

ბრტყელი

სახურავების

ჰიდროიკოლასიას

- უახლესი ტექნოლოგიით
- იაფად და ხარისხიანად
- დიდი ხნის გარანტიით

მის: **პაპაიძე ქ. მ. მ.**
 (საპირის სახსლის ჰაბი), **ჩ. 118**
 ტ: 33-26-75; 36-64-02

გას „გაიკრი“

აწარმოებს

ბურღვით

სამუშაოებს

სასხალი და

განეიქარი

წყლის

მისაღებად

მის: **პაპაიძე ქ. მ. მ.**
 (საპირის სახსლის ჰაბი), **ჩ. 118**
 ტ: 33-26-75; 36-64-02

„ჯობჯეროვის“ თიჩიმის

მეტალოპლასტმანის

ქარ-ფანჯრები

ქალნიან იაფად

ფირმა: თათი, ნაბლის განსტარით. მხნა, მხანი მხნა, მამაგონი, წითელი ხე და ა.შ.

ჩვენი პროფილი — ვ-კამარინი

მის: **ფირაქოლის 141 მ.** „დიდუბის“ გვერდით

ტ: 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ.ფაქსი: 966-779

ფირმა „ფლორანი“

მეტალოპლასტმანის

ქარ-ფანჯრები

სხვადასხვა

უმაღლესი

ფირები და

ხარისხის

საკეტიები

პროფილით

ღაბალ ფანჯარი

მის: **გამსახურების 44 (გაზარინის**
მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს ჰაბი)

ტ: 26-44-77; 53-21-51
 899 25-38-74; 899 20-57-32

— **რატი შელეგია**

№47 (425) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემას — „გამოვნიანი ძალი“ — 534 მკითხველი გამოემხურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 223-მა ქალმა და 301-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: „ვის არის ყველაზე გამოვნიანი ძალბატონი?“

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობის აზრით, საქართველოში ყველაზე დახვეწილი გემოვნების პატრონი მაკა ასათიანია. რესპონდენტთა 54-მა შეაფასა მაქსიმალური — 9 ქულით ქართული სამოდელი ბიზნესის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი.

7,64 საშუალო ქულით მაკა ასათიანი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე საქართველოს პირველი ლედია, საშუალო ქულაა 6,42. და უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მან დაიმსახურა ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა — მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,6) დაუწერა მას 1 ქულა.

მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგში ნინო ბურჯანაძე მესამე ადგილზეა, მაქსიმალურ ქულათა რაოდენობის მიხედვით (16) მეორეზეა და ამ ნიშნით ნინო უსწრებს სანდრა რულოვს (14).

მკითხველთა გარკვეული ნაწილი საკმაოდ გემოვნებიან ადამიანებად მიიჩნევს ლელა წურწუმიასა და ეკა კახიანს — ამაზე მათთვის მიკუთვნებული მინიმალური ქულების სიმცირეც მეტყველებს.

მკითხველებმა შედარებით დაბალი შეფასებები მისცეს პოლიტიკოს ქალბატონებს — მაია ნადირაძეს, მარია ვერულაშვილსა და ფიქრია ჩიხრაძეს. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა ფიქრია ჩიხრაძეს (63) ხვდა წილად, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულა მაია ნადირაძემ (0,6) დაიმსახურა.

საინტერესოა, რომ მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალები ნინო ბურჯანაძეზე გემოვნებიან ქალბატონად ლელა წურწუმას თვლიან.

№48 (426) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„ქვირის პალიცრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყო გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ. გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „ქვირის პალიცრაში“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.


* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვის რეიტინგსა და «მკითხველის პრემიაში».

№48 (426) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „ქვირის პალიცრა“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 1-ელი დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 2 დეკემბრის 13 საათამდე.

© თბილისი

შუკადევა! რეიტინგის ბარათში აკრძალულია იმეორება შარად „რეიტინგში“. თქვენ შეგიძლიათ შეაჩუქოთ ნიჩი და მიითხოვოთ პალკაში გაგზავნათ „ქვირის პალიცრაში“ საფოსტო ყუთში საშუალოდ აღნიშნული ბარათით იხილოთ მონაწილეთა მონაწილეობის კონკრეტული რაოდენობა „ქვირის პალიცრაში“ ანუ ფონდის ბარათით.

შუკადევა! „ქვირის პალიცრის“ საფოსტო ყუთებში მიითხოვოთ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკრეტულ ან მონაწილეთა!



გამოვნიანი ძალი

საპრიზო რეიტინგი

მაკა ასათიანი	7.64
სანდრა რულოვი	6.42
ნინო ბურჯანაძე	6.06
ლელა წურწუმი	5.83
ეკა კახიანი	5.41
სალმე ზურაბიშვილი	4.92
მაია ნადირაძე	4.06
მარია ვერულაშვილი	2.90
ფიქრია ჩიხრაძე	1.76

საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული თბილისელი, 66 წლის ილგუჯა თოიბაია. გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 1-ელ დეკემბერს, 17 საათზე.

უმცოქნესიკი © უმცოქნესიკი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?
— მე რასაც ვაკითხვ, ლაზათიანად ვაკითხვ!

ფოტოანტიკვარის გასულ ნომერში, როგორც ჩანს, სწორ გზაზე დაგყენეთ მკითხველი. ლამაზი პატარა გოგონა, რომელმაც ბავშვობაში ნატვრისთვალის „იშოვა“, არც მათთვის აღმოჩნდა გამოუცნობი.

ასე რომ, რესპონდენტთა 90%-მა გიორგი ლეონიძის გასაოცარი მოთხრობების მიხედვით გადაღებული ფილმის, „ნატვრის ხის“ (სცენარის ავტორი რევაზ ინანიშვილი, რეჟისორი თენგიზ აბულაძე) მთავარი გმირი დაასახელა. იგი კი უმშვენიერესი მარტის როლის შემსრულებელი, მსახიობი **ლიკა ქავეშარაძე** გახლავთ.

მკითხველთა ერთმა ნაწილმა (8%-მა) ალბათ ვარდების რევოლუციის წლისთვის „ალსანიშნავად“ ფოტოზე ჩვენი პოლანდიელი რძალი, სანდრა რულოვიც „ამოიცნო“. დარჩენილი 2% კი თანაბრად „გაინანიშნეს“ ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულმა ელენე თევდორაძემ, თათია გიორგობიანიმ, ირაკლი ბათიაშვილმა და... ბექემმა!



ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარგი



ლიკა ქავეშარაძე, 3 წლის

